საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

წლიური ანგარიში 2020

სარჩევი

2020 წლის წლიური ანგარიში 2
წინასიტყვაობა 2
გეოგრაფიული დაფარვა 4
მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები 5
ორგანიზაციის სტრუქტურა 5
ჩვენი გუნდი 6
წლიური შემოსავლები 7
მოკლე ინფორმაცია 2020 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ 7
პუბლიკაციები 8
ღონისძიებები 8
მიმდინარე და განხორციელებული პროექტები 9
ჩვენი პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან 10
მიმართულებები 11
თემის განვითარების პროგრამა 12
საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება 21
სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა 23
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა 24
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა 35
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა 41
კარგი მმართველობის ხელშეწყობა 44
ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა 48
კონტაქტი: 55

ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“

სამოქალაქო ორგანიზაცია

2020 წლის წლიური ანგარიში

25 წელი თქვენთვის და თქვენთან ერთად!

CSRDG დაარსდა 1995 წლის ივლისში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.
1995 წელს ქართული საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება, თუმცა თვლიდნენ, რომ სწორედ ამ ფორმით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევა. ამ იდეით, 1995 წლის ივლისში, დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG). 25 წელია, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას.
დაარსების დღიდან, ჩავატარეთ მრავალი კვლევა, ხელი შევუწყვეთ მრავალ საკანონმდებლო ინიციატივას, სათემო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოს რეგიონებში, მხარი დავუჭირეთ სოციალური საწარმოებისა და სოციალური სერვისების განვითარებას, გავხდით პიონერი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ხელი შევუწყვეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

წინასიტყვაობა

2020 წელმა სამყარო ახალი, მოულოდნელი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიამ სრულიად შეცვალა მილიონობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, მუშაობის სტილი და ფორმატი. ამ ყველასათვის მოულოდნელი გამოწვევების წინაშე ჩვენც აღმოვჩნდით. თუმცა ერთიანობის, პროფესიონალიზმის და მაღალი მოტივაციის დამსახურებით მოვახერხეთ მასთან გამკლავება. მოვახერხეთ, რომ ჩვენი მთავარი ღირებულებები, რომელთა ირგვლიც 1995 წელს გავერთიანდით, უცვლელი დარჩა.

სწორედ ჩვენი ღირებულებებისა თუ ფასეულობების, ჩვენი მისიის ერთგულებამ მოიტანა ის, რომ სამოქალაქო სექტორში 25 წლიანი წარმატებული მუშაობის შედეგად, დავიმკვიდრეთ ძლიერი კვლევითი, ექსპერტული ორგანიზაციის, სანდო პარტნიორისა და საზოგადოების განვითარებაზე მიმართული საქმიანობების განმახორციელებელი ორგანიზაციის სახელი და დღემდე ასე მოვდივართ.

სიამოვნებით წარმოგიდგენთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვას. მოცემულ დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება საზოგადოებას. ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინტერესებულ მხარეებს გავაცნოთ ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და

სოციალურ განვითარებაში, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და დემოკრატიის პრინციპების დანერგვაში ორგანიზაციის მხრიდან შეტანილი დადებითი წვლილი.

2020 წლის წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ინტეგრირებულ ანგარიშს, რომელშიც გაერთიანებულია ჩვენი წლიური პროგრამული ანგარიში და მიღწეული შედეგების შესახებ გლობალური შეთანხმების ანგარიში.

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია შეუერთდა **გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივას**. ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის **ანგარიშგების გლობალური ინიციატივის** (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

GRI Community
Centre for Strategic Research and Development of Georgia
2020

ანგარიშგების გლობალური ინიციატივა წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.

UN GLOBAL COMPACT COMMUNICATION ON PROGRESS This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals. We welcome feedback on its contents.	გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

ამ ანგარიშით ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს უწყვეტ მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებებისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებს. ჩვენ გამოვხატავთ მზადყოფნას, კვლავ ხელი შევუწყოთ ამ პრინციპების განხორციელებას ჩვენი საქმიანობის და ზეგავლენის სფეროების ფარგლებში და საჯაროდ წარმოვაჩენთ ჩვენს მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების მიმართ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების წინაშე.

ასევე ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას:

ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და, შესაძლებლობის ფარგლებში, მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში;

ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, რომლებიც კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად;

საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილოთ გლობალური შეთანხმების ინიციატივას მიერთებული სხვა კომპანიების წლიური ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ.

2020 წელს ორგანიზაცია ძირითადი პროგრამის ფარგლებში მუშაობდა სამი მსხვილი მიმართულებით: სამოქალაქო სექტორის განვითარება, ღია მმართველობის ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, როგორიცაა: თემის განვითარება, სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარება, კარგი მმართველობა, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის, კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 2020 წელს CSRDG ახორციელებდა 22 მიმდინარე პროექტს, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაციაა მოცემული წინამდებარე ანგარიშში.

დასასრულს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ორგანიზაციის თანამშრომლებს, ჩვენს პარტნიორებსა და მხარდამჭერებს, დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ანგარიშში აღწერილი საქმიანობების განხორციელება და დასახული მიზნების მიღწევა. განსაკუთრებული მადლობა ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს, რომელმაც არ დაზოგა ენერგია, ძალიან ბევრ გამოწვევას უპასუხა და საბოლოოდ წარმატებულად და ახალი უნარებით, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილმა დაასრულა ეს ურთულესი წელი.

ეკა ურუშაძე,

აღმასრულებელი დირექტორი, CSRDG

გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა, ცალკეული მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს ცალკეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში. კერძოდ, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, ყვარელი, თელავი, გორი, თეთრიწყარო და ბოლნისი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი, ქედა, სენაკი და ხობი, მესტია, ონი, ამბროლაური, ქუთაისი, გორი, ბოლნისი, თეთრიწყალო, ახალციხე.

ჩვენი სათავო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, რეგიონალური - ქალაქ თელავში.

მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ, თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი: აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ჩვენი გუნდი

1. ეკა ურუშაძე, 2. ეკა დათუაშვილი 3. ნინო ვასაძე 4. ვახტანგ კობალაძე 5. მაკა ასამბაძე 6. თამარ ხაჩიძე 7. მანანა მჭედლიშვილი 8. ქრისტინე კანდელაკი 9. დოდო გოგაძე 10. თამარ გერმანაშვილი 11. ეკატერინე ჩხეტია 12. გიგა ჩიტიშვილი 13. ეკატერინე (ანა) ილურიძე 14. ნათია მეტრეველი 15. კესო კუჭუხიძე 16. ზურაბ ტატანაშვილი 17. ქეთევან კაკაბაძე-ავალიშვილი	18. სალომე თოფურიძე 19. ანა ნადირაშვილი 20. ლია თოდუა 21. ნინო ქიტუაშვილი 22. თამარ გობეჯიშვილი 23. ლელა ხოფერია 24. ელენე ჩხეიძე 25. გვანცა ფაცაცია 26. ნონა ალადაშვილი 27. ლევან როსტომაშვილი 28. ქეთევან კალანდაძე 29. ნიკოლოზ მექვაბიშვილი 30. ნია ჭელიძე 31. დავით ჩიკვაიძე 32. მიხეილ გოგიჩაიშვილი 33. მარიამ ტურიაშვილი 34. ლილი უშვერიძე 35. ნონა რუხაძე

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

დონორებისგან დაფინანსება წლების მიხედვით:

- **2016 – 1,947,420 ლარი**
- **2017 - 3,214,803 ლარი**
- **2018 – 3,091,110 ლარი**
- **2019 – 3,980,197 ლარი**
- **2020 – 3,495,122 ლარი**

წლიური შემოსავლები

დასახელება	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
გრანტის სახით მიღებული შემოსავლები	1,881,150	3,146,006	3,091,110	3,980,197	3,495,122
შემომწირველებისგან მიღებული თანხები	7,382	18,361	52,345	60,407	47,090
ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი	41,979	36,227	7,531	72,718	62,276
ჯამი	**3,150,986**	**4,113,322**	**3,604,488**	**3, 972, 791**	**4, 177, 870**

მოკლე ინფორმაცია 2020 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ

- ვიმუშავეთ 11 მუნიციპალიტეტის 31 თემთან;
- ევროინტეგრაციის თემაზე მომზადდა 16 ანიმაციური რგოლი (asocireba.ge);
- ორგანიზაციაში მიმდინარეობდა 22 პროექტი;
- დაიწყო ახალი პროექტი „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“, რომელიც ქვეყანაში ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნას ემსახურება;
- ექსპერტების მიერ მომზადდა 4 პუბლიკაცია;
- გაცემული გრანტების ფარგლებში მომზადდა 18 პუბლიკაცია;
- ჩატარდა 6 პრო ბონო ვებინარი რომელსაც ჯამში 160-ზე მეტი მონაწილე დაესწრო;
- თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში შედგა ახალი აქტივობა - „საუბრები თემში“;
- წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების ეფექტიან გზებთან დაკავშირებით კონსულტაციისა და საექსპერტო დახმარების გაწევის მიზნით ჩატარდა 20 სხვადასხვა ონლაინ შეხვედრა სამიზნე რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგნელებთან.
- CSRDG-მ დააფინანსა 111 ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის პროექტი, საგრანტო თანხის საერთო ოდენობა იყო 648 848 ლარი.

პუბლიკაციები

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი;
- ელექტრონული სახელმძღვანელო გლობალურ დათბობის შესახებ;
- საქართველოში 2019-2020 წლებში - მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა;
- საზოგადოებრივი ფონდების ფონდის საქართველოში ინიცირების მიზანშეწონილობის კვლევა;
- კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის კვლევა კახეთის, სამეგრელოს და გურიის სამიზნე თემებში;
- ადგილობრივი ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიზნით პანდემიის შესაბამისად ექსპერტების მიერ მომზადდა და გამოიცა სტატია „თვითმმართველობის რეფორმის შედეგების ანალიზის შესახებ“;
- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის.

ღონისძიებები

- სათემო ლიდერთა ფორუმი 2020;
- სოციალური მეწარმეობის ფორუმი 2020;
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora;
- ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის;
- დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი „სექტორთა პარტნიორობა საზოგადოებრივი ღორებულების შესაქმნელად“;
- დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი „მწვანე ნაგებობები: საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა სექტორთა თანამშრომლობის მნიშვნელობა“;
- ფოტო-პრინტ კონკურსი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- საქართველოს პრო ბონო ქსელის შეხვედრა;
- მგვალი მაგიდა - მომხმარებლის უფლებების დაცვა.

მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. CSRDG-ს 2020-2023 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
3. "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" - ევროკავშირი - The European Union;
4. “ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის”- გაეროს განვითარების პროგრამა – The United Nations Development Programme (UNDP);
5. უსაფრთხო პროდუქტი ქართველ მომხმარებელს - ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში;
6. Civil Education for Protection of Consumer Rights in Food Sector-Ministry of Foreing Affairs of the Republic of Bulgaria
7. „უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულებისთვის“ - ევროკავშირი -The European Union;
8. Global Warming Campaign - chance to change our future - United Nations Office UNOPS - (GEF II)
9. Feasibility Study for Community Foundation Start-up in Georgia - European Community Foundation Initiative (ECFI);
10. „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა – The European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD)
11. გამჭირვალე ფარიანი პირბადე ადამიანის უფლებებისთვის - Eastern Partnership Civil Society Forum;
12. უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითრებისთვის
13. კოვიდ-19 პანდემიაზე რეაგირების სათემო ინიციატივები - United Nations Development Programme (UNDP X)
14. ერთიანობა და სოლიდარობა COVID-19-წინააღმდეგ (1) - Open Society - Georgia Foundation (OSGF I)
15. ერთიანობა და სოლიდარობა COVID-19-წინააღმდეგ (2) - Open Society - Georgia Foundation (OSGF II)
16. EENCE Network Communication Platform Development - Federal Agency for Civic Education (BPB)
17. Advancing Social Enterpreneurship for Sustainable and Inclusive Society - European Union (EU SE)
18. ჩარჩო პროგრამა "ხანდაზმულთა შინმოვლის მომსახურების მდგრადი მოდელები საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში - Hilswerk International (HWI - ADA)

ჩვენი პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

მიზანი	CSRDG-ის პროგრამა	გვერდი
მიზანი 1 – სიღარიბის აღმოფხვრა	თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა;	13,36;
მიზანი 2 – ნულოვანი შიმშილი		
მიზანი 3 – ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	სოციალური მომსახურების განვითარება;	24;
მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;	13,25;
მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა	თემის განვითარება, ევროინტეგრაცია;	13,49;
მიზანი 6 – სუფთა წყალი და სანიტარია		
მიზანი 7 – ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია		
მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა;	13,25,36;
მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		
მიზანი 10 – შემცირებული უთანასწორობა		
მიზანი 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები	თემის განვითარება; კარგი მმართველობა	13,45;
მიზანი 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; კარგი მმართველობა	13,25,45;
მიზანი 13 – კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები		
მიზანი 14 – ოკეანისა და ზღვის რესურსები		
მიზანი 15 – დედამიწის ეკოსისტემები		
მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები	კარგი მმართველობა	45;
მიზანი 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად		

მიმართულებები

ორგანიზაციაში სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

1. სამოქალაქო სექტორის გაერთიანება
2. კარგი მმართველობის ხელშეწყობა
3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა

<u>სამოქალაქო სექტორის განვითარება</u> - ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ თემის განვითარებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები ერთიანდებიან.

<u>თემის განვითარება</u> (სოფლის და თემის დონე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება</u> - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

<u>სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა</u> - საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილი იქნება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

თემის განვითარების პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, **თემის განვითარების მიმართულებით, 1998 წლიდან მუშაობს.**

მიმართულების მიზანი, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სათემო ლიდერების, სამოქალაქო ორგანიზაციების თუ საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერაა, რათა ამ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების უკეთ წარმოჩენა და არსებულ საჭიროებებზე რეაგირება.
ამისათვის, პროგრამა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობს:

1. სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება
2. სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
3. ქვეყანაში არსებული სათემო ორგანიზაციატა ქსელების გაძლიერება
4. ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

პროგრამა თავისი საქმიანობით მთელ ქვეყანას ფარავს, თუმცა უფრო ინტენსიურად კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის რეგიონებში მუშაობს.

ინფორმაციული და საგანმანათლებლო მხარდაჭერა

პროგრამა მუშაობს როგორც ეროვნულ ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბზე, ასევე, უფრო მიზანმიმართულად, წინა წლებში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში შექმნილი, სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ქსელთან. ორივე შემთხვევაში პროგრამა ჯგუფებს განსხვავებული ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებს სთავაზობს.

ორგანიზაციის ბაზაზე 2011 წლიდან მოქმედი თემის განვითარების რესურს ცენტრის მეშვეობით CSRDG, ქვეყნის მასშტაბით მოქმედ სათემო ჯგუფებს და ორგანიზაციებს რეგულარულად სთავაზობს, სხვადასხვა ტიპის საჭირო ინფორმაციას და ხელს უწყობს მათ შორის გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარებას. მისი გამორჩეული ღონისძიებებია სათემო საუბრების ციკლი და ყოველწლიური სათემო ლიდერთა ფორუმი.

რაც შეეხება, უკვე არსებულ სათემო ორგანიზაციათა ქსელთან მუშაობას, აქ საგანმანათლებლო კომპონენტი გაცილებით უფრო ინტენსიურია და კონკრეტული სათემო ჯგუფის თუ ორგანიზაციის საჭიროებებს და ინტერესებს ებმის. ის მოიცავს ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, გაცვლითი სასწავლო ტურებსა და კონსულტაციების მთელ ციკლს.

2020 წლის მანძილზე პროგრამამ სხვადასხვა მიდგომებით აქტიურად იმუშავა 47 სათემო ჯგუფთან და ორგანიზაციასთან, აქედან უფრო ინტენსიურად 28 სათემო

ჯგუფით დაკომპლექტებულ ქსელთან. ქსელის წევრებიდან 18 სათემო ორგანიზაცია კახეთის რეგიონში, 8 სამეგრელოს რეგიონში, 1 გურიასა და 1 ქვემო ქართლში მუშაობს.

ტრენინგები და სემინარები

წლის მანძილზე ჯამში 30 საგანმანათლებლო ღონისძიება, სემინარი, ტრენინგი, ვორკშოპი ჩატარდა. ტრენინგებისა და შეხვედრების თემატიკა ჯგუფების საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება და მათ ინტერესებს არის მორგებული. შესაბამისად, თემატიკაც მრავალფეროვანია, ფინანსური მენეჯმენტი, ბიზნეს პროექტების წერა და მართვა, კომუნიკაციების მართვა და მარკეტინგი; ასევე - ადგილობრივი თემის განვითარების ინიციატივები, მოზარდები და ემოციური ინტელექტი, ბულინგი, სტრესის მართვა. სემინარებსა და ტრენინგებს წლის განმავლობაში 300 მეტი მონაწილე დაესწრო.

თემი და გარემოს დაცვა

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით თემში ახალგაზრდული სათემო ჯგუფების ფორმირებას და გაძლიერებას, როგორც ტექნიკურ-ინფორმაციული კუთხით, ასევე, ფინანსური მხარდაჭერით. ბოლო წლებში პროგრამას დაემატა გარემოსდაცვითი კომპონენტი, რაც სამიზნე თემებში არსებულ ეკოკლუბებთან თანამშრომლობას, მათ განვითარებას და ზოგადად გარემოსდაცვითი საკითხების პოპულარიზაციას მოიაზრებს.

2019 - 2020 წელს სამი რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის 50 სამიზნე თემში, ეკოკლუბებისთვის ნარჩენების მართვის მიმართულებით ტრენინგების ციკლი ჩატარდა, რომლის თემატიკა იყო ნარჩენების მართვა, გარემოსდაცვითი სოციალური მეწარმეობა და პროექტების მომზადება.

ტრენინგებისა და სასწავლო სემინარების შემდეგ, სათემო ორგანიზაციებისა და ეკოკლუბების მიერ 17 ერთობლივი სადემონსტრაციო გარემოსდაცვითი პროექტი განხორციელდა ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველობასთან ერთად.

ამავდროულად, ჩატარდა კვლევა „სამიზნე თემების ნარჩენების მართვის პრობლემები“ და შემუშავდა დასკვნები/რეკომენდაციები. აღნიშნული პრობლემის შესახებ ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებს მივაწოდეთ.

ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა 3 დიალოგი და 6 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ თვითმმართველობის შესაბამის წამომადგენლებთან ნარჩენების მართვისა და გლობალური დათბობის საკითხებზე. გარდა ამისა, მოეწყო ერთი საგანმანათლებლო ეკობანაკი (დაახლოებით 60 მონაწილე) და შეიქმნა **გლობალურ დათბობაზე ელექტრონული სახელმძღვანელო** (ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ იხილეთ ქვევით, ან მიჰყევით ბმულს).

სათემო საუბრები

სამიზნე სათემო ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და აქტივობების კოორდინაციის გასაუმჯობესებლად პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორციელდება სამუშაო შეხვედრები, რომელიც გასული საქმიანობის შეჯერებას, გამოცდილების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლას ემსახურება. CSRDG ასევე აწყობს გაცვლით ტურებს სამიზნე რეგიონებს შორის, და სასწავლო ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ გამოცდილ სათემო ორგანიზაციებში. 2020 წელს Covid-19-ის პანდემიის აქტიური გამოვლენის დროს შეხვედრებმა ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა.

სწორედ არსებული მდგომარეობა დაედო საფუძვლად ონლაინ შეხვედრების მოწყობის ინიციატივას. შეხვედრები საინტერესო ქალების ისტორიებს შეეხებოდა, და მოგვიანებით, იგი რეგულარულ ციკლად **„სათემო საუბრები“ -** ჩამოყალიბდა. შეხვედრების მთავარი მიზანია, საშუალება მისცეს რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას (არა მარტო სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს), ონლაინ ფორმატში ჰქონდეთ საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის, მათთვის საინტერესო კითხვების დასმისა და სხვადსხვა საკითხების ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალება.

რეგულარული საუბრები პოპულარული გახდა და სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს მათზე დასწრების სურვილს. ორგანიზაციამ გადაწყვიტა ცალკე სახელი დაერქმია ამ შეხვედრებისთვის ციკლისთვის და თემატიკა, ისევ როგორც დამსწრეთა რაოდენობა, შეუზღუდავი გახადა.

ღონისძიების შესახებ ინფორმაცია CSRDG-ს არსებული, Facebook-ის თემის განვითარების რესურსცენტრის დახურული ჯგუფის საშუალებით ვრცელდება ისევე, როგორც ორგანიზაციაში არსებული რეგიონული ორგანიზაციების, სათემო ცენტრებისა და საინიციატივო ჯგუფების საკონტაქტო ბაზითა და ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობით. შეხვედრების თემატიკა მორგებულია მონაწილეთა/დამსწრეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, რის გამოსავლენადაც მცირე კვლევა/გამოკითხვა ტარდება არსებულ დახურულ ჯგუფებში. 2020 წელს 3 ონლაინ შეხვედრა ზუმის პლატფორმის საშუალებით ჩატარდა. შეხვედრებს ჯამში 100 მეტი მონაწილე დაესწრო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სათემო ლიდერთა ფორუმი 2020

„სათემო ლიდერთა ფორუმი“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ღონისძიებაა ჩვენ სივრცეში რომელიც სათემო ორგანიზაციების, თემის ლიდერებისა და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით, მათთვის და მათთან ერთად ორგანიზაციის მიერ 2016 წლიდან რეგულარულად ეწყობა.

ღონისძიების თემატიკა წლიდან წლამდე იცვლება იმ მოთხოვნების, საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისად, რომელიც სათემო ორგანიზაციებს მოცემულ მომენტში აქვთ. წლევანდელი ფორუმი 25-27 ნოემბერს ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

ქვეყანაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ღონისძიებაზე გამორჩეული სათემო ინიციატივების წარმოჩენისა და მიზნობრივი ჯგუფებისთვის საინტერესო საკითხების განხილვასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმო სათემო აქტივიზმისა და სოლიდარობის როლს კრიზისის დროს.

სათემო ლიდერთა ფორუმის მიზანია, სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაცია, თემთა შორის კონტაქტების გამყარება/გაღრმავება, რეგიონებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და რაც მთავარია სათემო ლიდერებისთვის და სამოქალაქო აქტივისტებისთვის აქტუალურ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება.

სათემო ლიდერთა ფორუმის განმავლობაში თემის განვითარების პროგრამის 2017-2020 წლის შედეგები შეჯამდა. ფორუმის სპიკერებმა ისაუბრეს გამორჩეულ სათემო პროექტებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოუტანა, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებს. ფორუმის მეორე დღე სრულად მიეძღვნა სათემო ორგანიზაციების მიერ განხორცილებულ პროექტებს Covid -19 მიმართებაში. უბრალო ციფრების მიღმა, ფორუმის მონაწილეებმა მოისმინეს ადამიანური ისტორიები, კონკრეტული ფაქტები, რეალური შედეგები. ხოლო მესამე დღეს საქართველოში პირველი სიღრმისეული სათემო ორგანიზაციების მეფინგის კვლევის შუალედური პრეზენტაციაც გაიმართა.

ღონისძიებას სამი დღის განმავლობაში 130 მონაწილე ესწრებოდა. ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ორგანიზებით.

ფინანსური მხარდაჭერა

საგანმანათლებლო მხარდაჭერის მსგავსად, სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერის მხრივ პროგრამა სხვადასხვა მიდგომებით მუშაობს ქვეყნის მასშტაბით არსებულ და სამიზნე სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების არსებულ ქსელთან. ამ უკანასკნელის წევრებს ცენტრი დახურული, ადგილობრივ პრობლემების მოგვარებაზე მიმართული საგრანტო კონკურსების გარდა, მიმდინარე საქმიანობების მცირე ფინანსურ მხარდაჭერასაც სთავაზობს. ამგვარი მხარდაჭერა, მოიაზრებს ხსენებულ ინტენსიურ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რაც, როგორც ჯგუფის გაძლიერებისა და პროექტის განხორციელების საჭიროებებს ესადაგება, ასევე სათემო ლიდერების პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს.

მიმდინარე საქმიანობებს მცირე ფინანსური მხარდაჭერა ახლავს თან. იგი თემის საჭიროებებს არის მორგებული და ამ საჭიროებებზე რეაგირებისთვის გამოიყენება. წლის განმავლობაში 26 სათემო ორგანიზაციისთვის მომზადდა სამოქმედო გეგმა, შედგა 11 სამუშაო შეხვედრა, გაიმართა ონლაინ

კონსულტაციები. პანდემიის, შეზღუდვებისა და კარანტინის გამო მომზადებული სამოქმედო გეგმის სრულყოფილად განხორციელება თავდაპირველი სახით ვერ მოხერხდა. თუმცა, სათემო ჯგუფებმა მოახერხეს სამოქმედო გეგმებში გარკვეული შესწორებების შეტანა, და წელიწადზე მათი გადანაწილება. საანგარიშო პერიოდში სათემო ჯგუფების მიერ მოეწყო 223 ღონისძიება, რომელსაც 7,000-მდე მონაწილე დაესწრო. სულ დაფინანსდა 25 პროექტი რომლის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 70,029 ლარი.

სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას უკავშირდება. სწორედ ამიტომ, წლის ბოლოს, თითოეული სათემო ჯგუფი ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში წარადგენს თემისთვის ყველაზე აქტუალურ რამდენიმე საკითხს და ამ საკითხების მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებას მოითხოვს. 2020 წლის ბოლოს 111 წარდგენილი პრობლემიდან 29 საკითხის/რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდა. აღნიშნული საკითხების ძირითადი ნაწილი ეხებოდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, როგორიც არის - შიდა გზების, წყალმომარაგების, საბავშვო ბაღების, სკვერებისა და სტადიონების რეაბილიტაცია და ასევე ნარჩენების მართვა.

დახურული საგრანტო კონკურსები

პროგრამის საქმიანობას სამიზნე სათემო ჯგუფების ქსელთან თან ახლავს დახურული მიკრო გრანტების პროგრამა, რომელიც სამიზნე სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფებისთვის ყოველწლიურად ერთხელ ან ორჯერ ცხადდება და სამიზნე სათემო ორგანიზაციების გაძლიერებისკენ არის მიმართული.

წლის განმავლობაში სამიზნე სათემო ორგანიზაციებისთვის გამოცხადდა სხვადასხვა თემატიკის 2 დახურული საგრანტო კონკურსი:

1. საგრანტო კონკურსი სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის (BFW პროგრამისა და UNJP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის "გაძლიერება ქალთა ცვლილებისთვის" ფარგლებში) 2020 წლის იანვარში გამოცხადდა. კონკურსის შედეგად 12 საპროექტო წინადადება შემოვიდა. საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 8 პროექტი. კონკურსის მნიშვნელოვანი ნაწილია თემის, ადგილობრივი ბიზნესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა/გაერთიანება კონკრეტული საკითხის ირგვლივ, რაც ხელს უწყობს სათემო ჯგუფებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, სამოქალაქო სექტორსა და ადგილობრივ ბიზნესს შორის ურთიერთობების დამყარებასა და გაძლიერებას. მიდგომებიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანია რესურსების მობილიზება. CSRDG-სთან ერთად, მიკრო გრანტების პროგრამის თანადამფინანსებელია ფონდი კონსტანტა / Constanta Foundation.

დახურული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 8 პროექტის ბიუჯეტი - სრულად 101,379 ლარს შეადგენს, საიდანაც CSRDG-ს მიერ გრანტის სახით - 74,527 ლარი გაიცა, ხოლო თემის წვლილი - 24,940 ლარი იყო, ასევ, 1,912 ლარი თემის მიერ მოძიებული სხვა თანადაფინანსება.

2. გარემოსდაცვითი კომპონენტის გასაძლიერებლად, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ნაწილს დახურული საგრანტო კონკურსი წარმოადგენს. იგი საშუალებას აძლევს სათემო ორგანიზაციებსა და თემში არსებულ ეკოკლუბებს, დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი პროექტები. სწორედ განხორციელებულ საგანმანათლებლო საქმიანობას მოჰყვა ღია წვის შედეგად მდგრადი ორგანული დამბინძურებლების გარემოში გაფრქვევის წინააღმდეგ ორგანული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების და რეციკლირების პრაქტიკისა და ალტერნატიული მეთოდების დანერგვა. პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში დაფინანსდა ოთხი პროექტი, გურიის სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში:
   - გურია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ჯუმათის თემი, ეკოკლუბი - „ეკოსანიტრები“ - პროექტი: „მზის ენერგია დედამიწის გადასარჩენად“;
   - გურია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მერიის თემი, ცენტრი „იმედი“ - პროექტი: „ენერგიის განახლებადი წყაროებისა და ენერგოეფექტურობის განვითარების ხელშეწყობა“
   - სამეგრელო, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. თორსა, სათემო ცენტრი „თოლისკური“ - პროექტი: „თბილი კერა“
   - კახეთი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ხოდაშენი, ქალთა საინიციატივო ჯგუფი, პროექტი: „ახალი სიცოცხლე- მზიდან დედამიწამდე“

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული გარემოსდაცვითი 4 პროექტის ბიუჯეტი სრულად 27,282 ლარს შეადგენს, საიდანაც CSRDG-ს მიერ გრანტის სახით - 18,625 ლარი გაიცა, ხოლო თემის წვლილი - 1,700 ლარი იყო, ასევ 3,328 ლარი იქნა თემის მიერ მოძიებული სხვა თანადაფინანსება.

პანდემიით შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თემის განვითარების რესურსცენტრმა გამოაცხადა ღია საგრანტო კონკურსი COVID 19-ის კრიზისის შემსუბუქებისაკენ მიმართულ სათემო ინიციატივებზე, მთელი საქართველოს მასშტაბით. კონკურსის მიზანი სამოქალაქო სოლიდარობის დემონსტრირება და COVID 19-ის კრიზისით დაზარალებული, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა იყო. **კონკურსის შედეგად 3 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა:**

- გურიის მედიატორთა ასოციაცია, პროექტი: „გამოწვევები გვაძლიერებს“;
- თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია „იმერეთი“ - პროექტი: „არ ხარ მარტო“;
- ახალგაზრდული საბჭო - პროექტი: „პანდემიის კრიზისით დაზარალებული მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა ქ. ფოთში“.

დაფინანსებული ინიციატივების შედეგად 117 ადამიანმა, **სამი მუნიციპალიტეტის 8 თემსა და 1 ქალაქში** (ფოთი) მიიღო დახმარება.

სამივე პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მარტოხელა ხანდაზმულების, შშმ პირების, პანდემიის პერიოდში სამსახურის გარეშე დარჩენილი პირებისა და საბანკო პოლიტიკის ფარგლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაზე.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 3 პროექტის ბიუჯეტი სრულად 34,378 ლარს შეადგენს, საიდანაც CSRDG-ს მიერ გრანტის სახით - 23,953 ლარი გაიცა, ხოლო თემის მიერ მოძიებული სხვა წყაროებიდან იქნა - 10,425 ლარი.

Covid-19 პანდემია და მასზე რეაგირება

2020 წელს არსებული რეალობიდან გამომდინარე შიდა რესურსების მობილიზებასთან ერთად მნიშვნელოვანი გარე რესურსების მოძიება გახდა. განსაკუთებით მძიმე იყო პანდემიის პირველი პერიოდი, რომელსაც მოსახლეობა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. უმძიმესი მდგომარეობა იყო რეგიონებში, სოფლებში. მუნიციპალური ტრანსპორტის შეჩერებასთან ერთად, რაიონულ ცენტრს, სამედიცინო სერვისებს, სასურსათო მაღაზიებსა და ა.შ მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწყდა. სწორედ ამ პერიოდში თემის განვითარების პროგრამის მიერ დამატებით მოძიებული ფინანსური სახსრებითა და არსებული სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მობილიზებით სამი პროექტი განხორციელდა. პროექტები მთიანად მიმართული იყო რეგიონებში პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენის შემცირებისკენ.

პროექტი „ერთიანობა და სოლიდარობა COVID -19-ის წინააღმდეგ“

ორგანიზაციის მიერ ორ ეტაპად განხორციელდა. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი ღია საზოგადოება საქართველო იყო. სამოქმედო არეალი, სამიზნე რეგიონები - კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამეგრელო და გურია.

პროექტის ფარგლებში მოხდა არსებული სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მობილიზება და მათ ბაზაზე მოხალისეთა ქსელის ჩამოყალიბება. თავდაპირველად, უსაფრთხოების დაცვის მიზნით გადამზადდა და ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა მოხალისეთა ჯგუფს, რომელთა რაოდენობამ 70 ადამიანს გადააჭარბა.

ორ ეტაპად განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ჯამში 600 მდე ოჯახმა მიიღო პირველადი საჭიროებების ნივთები, საკვები პროდუქტები, სოციალური დახმარების პაკეტი და ასევე სწავლისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკა. პროექტით დახმარება გათვალისწინებული იყო მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც არიან ხანდაზმულები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები და ა.შ.

პროექტი „COVID – 19 ის პანდემიაზე რეაგირების სათემო ინიციატივები“ - პროექტის ინიცირება განაპირობა პანდემიით შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და იგი, როგორც შემავსებელი კომპონენტი,

დაშენდა ცენტრის მიმდინარე პროექტზე „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის“. პროექტმა სამიზნე რეგიონების -კახეთის, სამეგრელოს და გურიის 11 მუნიციპალიტეტის 27 თემი მოიცვა.

პროექტის ფარგლებში სამიზნე რეგიონებში, **კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის კვლევა ჩატარდა** (კვლევის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვევით ან მიჰყევით ბმულს), რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა როგორც ზოგადი სოციალური პრობლემები, ისე მცირე ბიზნეს საქმიანობის ის მიმართულებები, რომლის საჭიროება და განვითარების პერსპექტივა თემში არსებობდა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაფინანსდა ქალების მიერ ინიცირებული მცირე საოჯახო ბიზნეს პროექტები, ჩატარდა ტრენინგების ციკლი. პროექტის ფარგლებში გაცემულმა საგრანტო თანხებმა, რეგიონებში არსებული საოჯახო ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, რომელიც თავის მხრივ მცირე მაგრამ ოჯახებისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

კონკურსის გამოცხადების შემდეგ დაფინანსდა 31 საოჯახო ბიზნეს იდეა, დაფინანსების სრულმა თანხამ 78,632 ლარი შეადგინა. გურიაში დაფინანსდა 4 საოჯახო ბიზნეს იდეა; კახეთში - 19 და სამეგრელოში - 8 .

დაფინანსებულ პროექტებს შორის მრავლადაა საცხობი და საკვები ობიექტები, სილამაზის სალონები, სამკერვალო, ყავის კუთხე. ასევე დაფინანსდა თანამედროვე აგროტექნიკის სათესის გაქირავების სერვისი, ხილ-ბოსტნეულის ღია ტიპის მაღაზია, საოჯახო საჩირე, თხილის ფერმერული მეურნეობისთვის საჭირო თხილის გარჩევის სერვისი და სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის საჭირო იარაღების რესურს-ცენტრის მოწყობა.

2020 წელს თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადებული გამოცემები:

ელექტრონული სახელმძღვანელო გლობალურ დათბობაზე

პროგრამაში ჩართული სათემო ორგანიზაციების და ეკოკლუბის წევრებისათვის პროექტის ფარგლებში მომზადდა ელექტრონული სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას კლიმატის ცვლილების, გამომწვევი მიზეზების, ჩარჩო-კონვენციის და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევების, ალტერნატიული ენერგორესურსების გამოყენების მექანიზმებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის აღნიშნული ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გადაცემის შესახებ.

საქართველოში სათემო ფონდების ინიცირების მიზანშეწონილობის კვლევა

თემის განვითარების პროგრამის ერთ-ერთი ამოცანა ადგილებზე სათემო ფონდების (Community Foundations) შექმნის და განვითარების მხარდაჭერა

გახლავთ. წინამდებარე კვლევის მიზანია იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც გავლენას ახდენს სათემო ფონდის ფუნდამენტურ განვითარებაზე საქართველოში, უფრო კონკრეტულად კი შერჩეულ ორ ლოკაციაზე. კვლევის ანგარიში მოიცავს როგორც სამაგიდე, ისევე საველე ანუ თვისებრივი კვლევის შედეგებს. 2020 წლიდან თემის განვითარების პროგრამა სათემო ფონდების კონცეფციის პოპულარიზაციასა და სამიზნე რეგიონებში სათემო ფონდების ჩამოყალიბებას აქტიურად უჭერს მხარს. ამ მიმართულებით CSRDG გაწევრიანებულია საერთაშორისო ქსელში „ევროპული სათემო ფონდების ინიციატივა - ECFI“, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ევროპაში სათემო ფონდების მოძრაობას.

საქართველოში 2019-2020 წლებში - მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა

კვლევა საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერას მოიცავს. მათი პროფილის შესწავლა განხორციელდა 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით სათემო განვითარების ცენტრის მკვლევარის, ანა მარგველაშვილის მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) და ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით.

კვლევის მთავარი ფოკუსი დღეს სოფლებისა თუ მცირე დასახლების დონეზე მოქმედი სათემო ჯგუფების, მათი ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო გარემოსა და იმ დაბრკოლებების შესწავლა იყო, რომელთა გადალახვაც სათემო ჯგუფებსა და ორგანიზაციებს ყოველდღიურ საქმიანობაში უწევთ. კვლევის მიხედვით დღეს საქართველოში ასეთი 120-მდე ჯგუფი მოქმედებს.

კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის კვლევა კახეთის, სამეგრელოს და გურიის სამიზნე თემებში

კვლევა ჩატარდა პროექტის „Covid-19-ის პანდემიაზე რეაგირების სათემო ინიციატივები“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით. პროექტის მიზანი გახლდათ რეგიონის მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად, ქალების ეკონომიკური გაძლიერება და მათი მცირე საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების წახალისება.

კვლევის მიზანი იყო Covid-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის პირველადი აღწერითი შეფასება კახეთის, სამეგრელოს და გურიის რეგიონებზე (11 მუნიციპალიტეტის 27 თემი). ანგარიში შემუშავდა აღნიშნულ რეგიონებში სამიზნე თემების მაცხოვრებელთა გამოკითხვის (1,310 რესპონდენტი/კომლი, 3,579 ოჯახის წევრი) და ფოკუს ჯგუფების დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით. კვლევა განხორციელდა 2020 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხელს ვუწყობთ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მუშაობა 1998 წლიდან დავიწყეთ.

მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საშუალებას აძლევთ მათ, გააუმჯობესონ ორგანიზაციის მართვის სისტემები, თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას შესთავაზონ ხარისხიანი მომსახურება და, რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყონ ორგანიზაციის ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა.

2020 წლის საქმიანობები

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები, ორიენტირებული იყო ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების განვითრებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ. 2017 წლის იანვრიდან, საქართველოს სამოქალაქო სექტორის 4 ძირითადი გამოწვევის გადასაჭრელად, კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და 3 სამოქალაქო ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“, რომელიც შემდეგი 4 მიზნის მიღწევას ესწრაფვის:

1. სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური მდგრადობის გაზრდა დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებით, მათ შორის სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მონაწილეობით, ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნით, ასევე მოხალისეობის წახალისებით.
2. სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების, ანგარიშვალდებულებისა და სანდოობის გაზრდა, რათა მათ უკეთ წარმოადგინონ ფართო საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.
3. სამოქალაქო საზოგადოების მედიასთან, ბიზნესთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო აქტიური თანამშრომლობით სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა რეგიონებში.
4. სამოქალაქო საზოგადოების ღონისძიებებისა და ინიციატივების მხარდაჭერა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე საჯარო პოლიტიკის სფეროში, განსაკუთრებით ევროკავშირთან ასოცირების პროცესში მიმდინარე რეფორმების თვალსაზრისით.

პროექტში გათვალისწინებული საქმიანობები განაწილებულია CSRDG-ის სხვადასხვა პროგრამის საქმიანობაში თუმცა, ყველა აქტივობა და მიღწეული შედეგი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

2020 წელს პროექტის "ქედა ლიდერი" ძირითადი ნაწილი დასრულდა - **„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისთვის“, რომელსაც CSRDG CENN-თან ერთად ახორციელებდა.** პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა, სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი დაგეგმვის გზით. პროექტის ფარგლებში CSRDG-იმ ხელი შეუწყო ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (Keda LAG) ჩამოყალიბებას, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ სამოქალაქო, ბიზნეს და საჯარო სექტორების წარმომადგენლებს. დღეს უკვე ქედა LAG აქტიურად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტში თანამონაწილეობითი, ქვევიდან ზევით მმართველობის პრინციპების დანერგვასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტის მანძილზე CSRDG-მ Keda LAG-თან ჩაატარა მრავალი გუნდური და ინდივიდუალური კონსულტაცია, ტრენინგები, გამოცდილების გაზიარების ტურები. დამატებით, ცენტრმა უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება და კონსულტირება სოციალური და ბიზნეს პროექტების მომზადების მიმართულებით.

EENCE სამოქალაქო განათლების კვირეული - ერთად ცხოვრების ხელოვნება

2020 წლის მაისიდან, CSRDG-მ, როგორც აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო განათლების ქსელის (Eastern European Network for Citizenship Education - EENCE) წევრმა, პროექტის "EENCE სამოქალაქო განათლების კვირეული - ერთად ცხოვრების ხელოვნება" განხორციელება დაიწყო. პროექტს ახორციელებს კონსორციუმი, რომელიც შედგება EENCE წევრი 15 ორგანიზაციისა და ექსპერტისგან. პროექტის მიზანი იყო სამოქალაქო განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა, სამოქალაქო განათლების მნიშვნელობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

პროექტის ყველაზე გამორჩეული ღონისძიება სამოქალაქო განათლების (CE) კვირეული იყო, რომელიც ერთდროულად ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანასა და რუსეთში. კვირეულის მიზანი იყო სამოქალაქო განათლების მიმწოდებლების (სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ექსპერტების/აქტივისტების) მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება სამოქალაქო განათლების საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციის გზით. კონკრეტულად საქართველოში კვირეულის დროს 11-მა სამოქალაქო ორგანიზაციამ, 8 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩაატარა 11 ღონისძიება (3 ონლაინ და 8 პირისპირ). ღონისძიებებში მონაწილეობა 219-მა ადამიანმა მიიღო.

2020 წლის ჯამური მაჩვენებელი

2020 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკვეთის საფუძველზე მომზადდა და განხორციელდა სემინარები, ტრენინგები და ვორქშოპები.
ჯამური მაჩვენებელი :

- 17 ტრენინგი.
- 319 მონაწილე;

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა ფუნქციონირებს 2019 წლიდან. პროგრამის მიზანია საქართველოში სამოქალაქო და საჯარო სექტორში უფლებებზე დაფუძნებული ისეთი სოციალური მომსახურებების განვითარება, სადაც ხელს უწყობენ და პატივს სცემენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს.

2020 წელს განხორციელებული საქმიანობები

პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ორი მიზნობრივი გრანტი გაიცა სოციალურ მუშაკთა გაერთიანებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა 1. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგს და 2. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის დროული აღსრულების ადვოკატირებას. ორგანიზაციაზე გაცემულმა თანხამ 2020 წელს შეადგინა 2,400 ევრო.

2020 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცემული პუბლიკაცია

2020 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევა "უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის". კვლევის სრული ანგარიში და კვლევის შეჯამება ქართულ ენაზე, ისევე როგორც კვლევის შეჯამება ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ონლაინ და დაიბეჭდა მცირე ტირაჟით.

ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური მეწარმეობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

<u>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)</u> - CSR კონცეფცია და პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას ყველა სექტორში. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გაიაზრონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

<u>სოციალური მეწარმეობა (SE)</u> – სოციალური მეწარმეობის, როგორც ახალი მიდგომის განვითარება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიისთვის, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად. სოციალური მეწარმეობით შესაძლებელია სოციალური პრობლემების დაძლევა, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესების ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისთვის მთავრობაში არ არის საკმარისი რესურსი.
<u>მომხმარებელთა უფლებების დაცვა</u> - ეფექტურად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები. ბიზნესი უფრო პასუხისმგებელია მომხმარებლების მიმართ, ხოლო მოქალაქეები, როგორც მომხმარებლები, უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. საქართველოში CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სექტორის ინფორმირების მიზნით ცენტრი ატარებს კვლევებს, საკომუნიკაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმებს და კონფერენციებს, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიასთან.

პროგრამის ფარგლებში 2020 წელს

- მესამედ ჩატარდა 'საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora';
- მესამედ ჩატარდა კონკურსი მედიისათვის CSR-ის შესახებ სახელწოდებით "ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის"
- გამოიცა ლექსიკონი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე;
- მომზადდა არაერთი სატელევიზიო და რადიო გადაცემა პროგრამის საქმიანობის შესახებ;
- ონლაინ და ბეჭდურ გამოცემებში დაიბეჭდა სტატიები CSR-ისა და პროგრამის შესახებ;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანია პანდემიის დროს ბიზნესის როლზე;
- გამოქვეყნდა ბლოგები პროგრამის ფარგლებში შექმნილ csrblog-ზე;
- ჩატარდა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა პრო ბონო მედიაციის ფარგლებში;
- გაიმართა ორი ფორუმი CSR-ის თემის გარშემო.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora

ეროვნული მასშტაბის კონკურსი, რომელიც CSRDG-ის მიერ 2018 წელს დაფუძნდა, ავჯილდოვებს საქართველოში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს მათ მიერ განხორციელებული საუკეთესო პროექტებისა და ინიციატივებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სფეროში. კონკურსის მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და საზოგადოებაში მისი პოპულარიზაცია; კომპანიების წახალისება, დანერგონ საკუთარ საქმიანობაში CSR-პრინციპები და მიდგომები და გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის.

2020 წლის კონკურსი განსაკუთრებული ფორმატით გამოცხადდა და ეძღვნებოდა იმ პროექტებსა თუ ინიციატივებს, რომლებიც კომპანიებმა თავიანთი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში განახორციელეს Covid-19-თან საბრძოლველად.

2020 წლის კონკურსი 4 კატეგორიას მოიცავდა და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში მოქმედ ნებისმიერი ზომის კომპანიას. კონკურსი გამოცხადდა 5 ნოემბერს, ხოლო განაცხადების მიღება 7 დეკემბრამდე გაგრძელდა.

კონკურსში სულ 62 განაცხადი შემოვიდა.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ საექსპერტო ორგანიზაციებთან, ბიზნესპლატფორმებსა და სამთავრობო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ჩატარდა, როგორიც არის: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური; ავსტრიის საელჩო; შვეიცარიის საელჩო; იტალიის საელჩო; შვედეთის სამეფოს საელჩო საქართველოში; გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV); საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF); ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC); ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA); საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG); საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC); საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია; საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატა; საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA).

Meliora 2020-ის დაჯილდოების ღონისძიება 2021 წლის გაზაფხულზე გაიმართა.

მედია კონკურსის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ „ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“ დაჯილდოების ღონისძიება

მედია კონკურსი ჟურნალისტებისთვის CSR-ის შესახებ გამოცხადდა 2019 წლის 6 მაისს, ხოლო განაცხადების მიღების საბოლოო ვადა იყო 2019 წლის 30 ნოემბერი.

კონკურსის დაჯილდოვების ღონისძიება, 2020 წლის 18 თებერვალს, მწერალთა სახლში გაიმართა.

კონკურსი მიზნად ისახავს ქართულ მედია სივრცეში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტიური და სწორი გაშუქების ხელშეწყობას და ამ გზით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების მხრიდან კონცეფციის სწორი აღქმის დამკვიდრებას.

5 გამარჯვებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) თემაზე შექმნილი საუკეთესო ნამუშევრებისთვის შემდეგ კატეგორიებში დაჯილდოვდნენ:

- სატელევიზიო მასალა – მანანა გიგინეიშვილი – პირველი არხი – http://bit.ly/3229cJM

ლოიქ ვან ქუთსემი, სოცმეწარმეთა მხარდამჭერი გლობალური ქსელი „აშოკას“ Imnpact Transfer-ის დირექტორი ფორუმის შესახებ: *„ახლა კიდევ უფრო ნათლად ვხედავთ, რომ სამყარო ძალიან კომპლექსურია და არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია დამოუკიდებლად მოაგვაროს სოციალური პრობლემები. პარტნიორობა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა არის გზა მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად.“*

- ბეჭდური ან ონლაინ მედიით გასული სტატია – ქეით რუთ დეივისი – Georgia Today http://bit.ly/2P3OBiY
- მულტიმედია, ვიდეო პროდუქტი – ნინო ვართაპეტიანი – TV ბორჯომი – http://bit.ly/328B9Qb
- რადიო (რადიორეპორტაჟი, გადაცემა ან რუბრიკა) – ნინო ხუგაშვილი – რადიო იმედი – http://bit.ly/2vHv2pU
- ბლოგი – მარიკა მჭედლიძე – Forbes Georgia – http://bit.ly/326wTAB
- კონკურსში წარდგენილი ნამუშევრები შეფასდა, მედია პროფესიონალებისა და CSR-ის ექსპერტებისაგან შემდგარი, დამოუკიდებელი საკონკურსო კომისიის მიერ. **კონკურსში 33 ჟურნალისტმა, 36 მედია მასალა წარადგინა.**
- დაჯილდოების ღონისძიების ფოტოები - https://bit.ly/39KJChD.

დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი გაიმართა თემაზე „სექტორთა პარტნიორობა საზოგადოებრივი ღირებულების შესაქმნელად“

4 ივნისს, ონლაინ ფორმატში დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი გაიმართა თემაზე „სექტორთა პარტნიორობა საზოგადოებრივი ღირებულების შესაქმნელად“.

„მედიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მხრიდან CSR-ის კონცეფციის სწორი გააზრებისა და მისი დანერგვის სტიმულირების პროცესში. სწორედ ამიტომ CSRDG დიდი ხანია აქტიურად მუშაობს რეგიონულ და ცენტრალურ მედიასთან CSR-ის ცნების პოპულარიზაციის მიზნით.” - **ეკა ურუშაძე, CSRDG-ის დირექტორი**

ფორუმი მიზნად ისახავდა, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის საკითხზე გამოცდილებისა და იდეების გაზიარებას, ასევე დიალოგის გამართვას სექტორთა პარტნიორობის დადებით მხარეებსა და შესაძლებლობებზე, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პოსტკოვიდური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად. ევროკავშირის ქვეყნებიდან, საქართველოს ბიზნეს კომპანიებიდან და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მოწვეულმა ექსპერტებმა ფორუმის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება სექტორთა პარტნიორობის მიმართულებით. ფორუმი ლაივ რეჟიმში, CSRDG-ის ოფიციალურ Facebook გვერდზე გადაიცა, რამაც ყველა დაინტერესებულ მხარეს დასწრების საშუალება მისცა.

ფოტო-პრინტ კონკურსი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ

ფოტოებისა და პრინტების კონკურსი კოპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მესამედ ჩატარდა. მასში მონაწილების მიღება შეეძლოთ საქართველოს მოქალაქე დიზაინერებს, ფოტოხელოვანებსა და ფოტომოყვარულებს. კონკურსის მიზანი იყო კორპორაციული სოციალური

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მხრიდან კონცეფციის სწორი აღქმის ხელშეწყობა.

კონკურსში წადგენილი ფოტო ან პრინტ ნამუშევარი CSR-ის 7 თემიდან, რომელიმეს უნდა შეხებოდა. ეს თემებია:

- ბიზნესის ეთიკურად წარმოება;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- შრომითი სტანდარტების დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- მომხმარებელთან პასუხისმგებელი ურთიერთობა;
- სოციალური პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა;
- ბიზნეს საქმიანობის გამჭირვალობა.

კონკურსში განაცხადების მიღება 2020 წლის 31 მარტამდე იყო შესაძლებელი და მას ორი გამარჯვებული ჰყავდა: სპეციალური ჟიურის მიერ შერჩეული გამარჯვებული და ხალხის რჩეული, რომელიც CSRDG-ის facebook გვერდზე ხმის მიცემით გამოვლინდა.

ფორუმი „მწვანე ნაგებობები: საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა სექტორთა თანამშრომლობის მნიშვნელობა“

12 ნოემბერს, ონლაინ ფორმატში გაიმართა ფორუმი თემაზე: „მწვანე ნაგებობები: საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა სექტორთა თანამშრომლობის მნიშვნელობა“. ფორუმს ესწრებოდნენ სამოქალაქო სექტორის, ბიზნესის წარმომადგენლები და სტუდენტები. ონლაინ ფორმატში ფორუმს 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო.

ეკა ურუშაძე, CSDRG-ის აღმასრულებელი დირექტორი სხვადასხვა სექტორთა პარტნიორობის შესახებ: *„საჯარო, კერძო და სამოქალაქო ინსტიტუტებს შორის კოლაბორაციას შეუძლია იმ მნიშვნელოვანი რესურსის გაერთიანება, რაც თითოეულ მხარეს დამოუკიდებლად გააჩნია. ამ რესურსების გაერთიანებას კი მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა შეუძლია.*

ფორუმი მიზნად ისახავდა მწვანე ნაგებობების შესახებ დისკუსიის წამოწყებას, თემის დღის წესრიგში დაყენებასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. სფეროს ექსპერტები დიდი ბრიტანეთიდან და ნორვეგიიდან ფორუმის მონაწილეებს საკუთარ გამოცდილებაზე ესაუბრნენ.

სამშენებლო სექტორი ყველაზე მეტ რესურსს მოიხმარს და აბინძურებს გარემოს. სწორედ ამიტომ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სამშენებლო მიმართულებით გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ მდგომარეობას გაუმჯობესებს.“ - **განაცხადა ქრის ბათერსმა, ფორუმის მომხსენებელმა, ოსლოს უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა (ნორვეგია) ფორუმის შესახებ.**

ფორუმის საშუალებით კერძო კომპანიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თანამედროვე, მწვანე ნაგებობების ირგვლივ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვეს, რამაც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისცა საშუალება მოახდინონ თემის უკეთ პოპულარიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზნეს კომპანიებს მოტივაცია შეუქმნა დაგეგმონ და განახორციელონ მდგრადი, გარემოზე ორიენტირებული პროექტები.

პრო ბონო

კომპანიებისათვის პრო ბონო სერვისები, მათი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, კერძოდ კი, თანამშრომელთა მოხალისეობის (კორპორაციული მოხალისეობის) ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

ტერმინი „პრო ბონო სერვისები“ გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციების ან მოქალაქეებისათვის პროფესიული მომსახურების გაწევას უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად, ანუ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

პრო ბონო სერვისები კერძო სექტორის ექსპერტიზასა და ინტელექტუალურ რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის. ამ გზით კომპანიები ეხმარებიან საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომელთა ინტერესებსაც ემსახურება და გამოხატავს ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია.

"პრო ბონო" არის შემოკლებული ფორმა ლათინური გამოთქმისა pro bono publico, რაც ნიშნავს "საზოგადოების საკეთილდღეოდ"

საქართველოს პრო ბონო ქსელი წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იმ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ.

„გარემოზე ზრუნვა მდგრადი განვითარების ფუნდამენტური ნაწილია, რადგან ჩვენი ქცევის შედეგები პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც ჩვენს დღევანდელ, ასევე სამომავლო ცხოვრების ხარისხზე და ამასთანავე საფრთხეს უქმნის სხვა სახეობებს“- **აღნიშნა სენდი ჰალიდეიმ, ფორუმის მომხსენებელმა, Gaia Research-ის დამფუძნებელმა (დიდი ბრიტანეთი).**

საქართველოს პრო ბონო ქსელის მიზანია კომპანიათა ექსპერტიზის ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში.

საქართველოს პრო ბონო ქსელი ოფიციალურად დაარსდა 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივით ფონდ MitOst e.V., ფონდ BMW Herbert Quandt-ისა და ფონდ Taproot-ის თანადგომით.

ამჟამად ქსელში გაწევრიანებულია 22 კომპანია, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ - https://bit.ly/39LewpX

პრო ბონოსა და საქართველოს პრო ბონო ქსელის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე: www.probonogeorgia.ge

საქართველოს პრო ბონო ქსელის შეხვედრა

1 დეკემბერს, საქართველოს პრო ბონო ქსელის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ონლაინ ფორმატში ჩატარდა და მას 30-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა როგორც ქსელის წევრი კომპანიებიდან, ასევე სათემო ორგანიზაციებიდან და სოციალური საწარმოებიდან.

ყოველწლიური შეხვედრა მიზნად ისახავს კომპანიებს შორის გამოცდიების გაზიარებასა და სამომავლო გეგმების განხილვას. შეხვედრაზე კომპანიებმა თავიანთ პრო ბონო ქეისებზე ისაუბრეს, ხოლო CSRDG-ის გუნდმა 2019-2020 წლის ანგარიში წარადგინა.

შეხვედრაზე ფრანგული ორგანიზაციის, გლობალური პრო ბონო ქსელის წევრი კომპანიის Pro Bono Lab-ის წარმომადგენელმა ქსელის წევრებს პრეზენტაცია გაუკეთა.

შეხვედრის ფოტოები - https://bit.ly/3CZlFAf

კომპანია ACT-ის პრო ბონო ვებინარი ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის შესახებ

კოვიდ 19-ის გავრცელების შედეგად ორგანიზაციები ბევრი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგაზაციები, რომლებიც იძულებული გახდნენ ონლაინ მუშაობის რეჟიმზე გადასულიყვნენ და სჭირდებოდათ საუკეთესო მეთოდის შერჩევა, როგორ მოახერხებდნენ საკუთარი ბენეფიციარებთან კომუნიკაციის გაგრძელებას და დახმარებას პანდემიის პერიოდში.

აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაციის პროცესში გამოვლინდა კომუნიკაციის ონლაინ პლატფორმების მიმართ დაინტერესება. გამომდინარე იქიდან, რომ ონლაინ პლატფორმები ყველასთვის ახალი ხილი იყო და შესაბამისად, ცნობადობა და ცოდნა ამ კუთხით, საკმაოდ ბუნდოვანი იყო, პრო ბონო ქსელის წევრმა კომპანიამ ACT-იმ გადაწყვიტა საკუთარი ცოდნა და

ექსპერტიზა გაეზიარებინა საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

Zoom პლატფორმა ყველაზე მეტად გამოყენებადი აღმოჩნა და შესაბამისად ACT ჩაატარა ორი ვებინარი: 11 მაისს ჩატარდა პირველი პრო ბონო ვებინარი Zoom Meeting-ის შესახებ, ხოლო 25 მაისს ჩატარდა მეორე პრო ბონო ვებინარი Zoom Webinar-ის შესახებ.

საერთო ჯამში ვებინარებს 100-მდე მონაწილე დაესწრო სხვადასხვა ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

კომპანია PMCG Consulting-ის პრო ბონო ვებინარი ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ

საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციები პანდემიიდან გამომდინარე იძულებული გახდნენ ონლაინ მუშაობის რეჟიმზე გადასულიყვნენ და სჭირდებოდათ საუკეთესო მეთოდის შერჩევა, როგორ მოახერხებდნენ საკუთარი ბენეფიციარებთან კომუნიკაციის გაგრძელებას და დახმარებას პანდემიის პერიოდში.

აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაციის პროცესში გამოვლინდა კომუნიკაციის ონლაინ პლატფორმების მიმართ დაინტერესება. გამომდინარე იქიდან, რომ ონლაინ პლატფორმები ყველასთვის ახალი ხილი იყო და შესაბამისად, ცნობადობა და ცოდნა ამ კუთხით, საკმაოდ ბუნდოვანი იყო, პრო ბონო ქსელის წევრმა კომპანიამ PMCG-იმ გადაწყვიტა საკუთარი ცოდნა და ექსპერტიზა გაეზიარებინა საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

პრო ბონო ვებინარი ჩატარდა 2020 წლის 29 აპრილს. ვებინარს ესწრებოდა 15-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვებინარის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი თემები: პლატფორმაზე დარეგისტრირება, ძირითადი ფუნქციები, უპირატესობები სხვა ონლინ პლატფორმებთან შედარებით, ა.შ.

პრო ბონო ვებინარი თემაზე: გადასახადები და ბუღალტრული აღრიცხვა

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციები, განსაკუთრებით სათემოს ორგანიზაციები, შეზღუდული რესურსების პირობებში საქმიანობენ და ხშირად, არ აქვთ სახსრები ჰყავდეთ ბუღალტერი ან თუნდაც ფინანსური მენეჯერი. ხშირ შემთხვევაში, მსგავს პოზიციების ფუნქციებს ასრულებს ორგანიზაციის დამფუძნებელი და დირექტორი. შესაბამისად, მუდამ საჭიროებენ პროფესიონალების დახმარებას, რომლებსაც გააჩნიათ ექსპერტიზა გადასახადების და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით.

გამომდინარე იქიდან, რომ საკონსულტაციო კომპანია ACG Consulting-ს დიდი გამოცდილება აქვს ზემოთ აღნიშნული საკითხებში, დაიწყო სათემო ორგანიზაციებისათვის პრო ბონო ვებინარების სერია. ვებინარის პროცესში

განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: საგადასახადო კოდექსი, გადასახადების სახეები საქართველოში და დაბეგვრის დეტალები, ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები, ა.შ.

2020 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე ჩატარდა 15-მდე ვებინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონიდან.

პრო ბონო ვებინარი ბოსტნეული კულტურის შესახებ კომპანია კრისტალისგან

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ფერმერებთან კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი ფერმერები დაინტერესებულები იყვნენ ისეთი აგრო კულტურებით, რომლებიც ეფექტური იქნება და მომგებიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (მიწის ნაყოფიერებიდან და ჰავიდან გამომდინარე).

2020 წლის ივლისში და აგვისტოში, კომპანიების კრისტალისა და კარტლისის თანამშრომლობის შედეგად ჩატარდა სამი პრო ბონო მასტერკლასი (ორი ონლაინ და ერთი ადგილზე) თემაზე: ბოსტნეული კულტურა და მასთან დაკავშირებული საკითხები. მასტერკლასის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს საინტერესო და საჭირო ინფორმაცია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ნიადაგის გამოკვება და მისი ლაბორატორიული ანალიზი, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, ბაღჩეული კულტურის მოყვანასთან დაკავშირებული საკითხები და გამოწვევები, ა.შ.

მასტერკლასს ესწრებოდა 10-მდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ფერმერი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი.

პრო ბონო ვებინარი მეფრინველეობის შესახებ კომპანია ნუტრიმაქსისგან

კახეთის რეგიონში მეფრინველეობა, განსაკუთრებით საოჯახო მეფრინველეობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საქმიანობაა სოფლად მცხოვრები ფერმერებისთვის. იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ და მეტი ცოდნა მიიღონ მეფრინველეობის მიმართულებით, კომპანია ნუტრიმაქსის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ლექცია თემაზე: მეფრინველეობა.

პრო ბონო ვებინარი ჩატარდა 2020 წლის 2 ივლისს Zoom პლატფორმაში. ვებინარს ესწრებოდა 20-მდე სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვებინარის ფარგლებში განხილულ იქნა ქათმის მოვლა-შენახვის საკითხები საკარმიდამო პირობებში.

პრო ბონო ვებინარი საგრანტო კონკურსების შესახებ, ACG audit and consulting team

როგორც ცნობილია სათემო ორგანიზაციები წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც მოპოვებული დაფინანსების საფუძველზე ფუნქციონირებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს მდგრადი განვითარებისთვის და იმისთვის, რომ უპასუხონ მათი ბენეფიციარების საჭიროებებს სჭირდებათ მდგრადი ფინანსური რესურსები. შედეგად, ისინი მუდამ დაფინანსების ძიებაში არიან. შესაბამისად, საციცოხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის ინფორმირებულები იყვნენ ქვეყანაში გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ. გარდა ამისა, რეგიონალური სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარებს წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ფერმერები. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციაც მნიშვნელოვანია მათთვის.
საკონსულტაციო კომპანიამ ACG Consulting სწორედ ზემოთ აღნიშნულ თემაზე სათემო ორგანიზაციებისთვის ჩაატარა საინფორმაციო ვებინარი საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებით. შეხვედრის დროს მონაწილეებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საგრანტო კონკურსებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით..
პრო ბონო ვებინარი ჩატარდა 2020 წლის 3 ნოემბერს, Zoom პლატფორმის მეშვეობით. ვებინარს დაესწრო 20-მდე მონაწილე სხვადასხვა სათემო ორგანიზაციიდან.

2020 წელს პროგრამის ფარგლებში მომზადებული პუბლიკაციები და რესურსები

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

CSRDG-იმ 2020 წელს გამოსცა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, რომლის ავტორია ლელა ხოფერია. *წიგნი განკუთვნილია*, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით დაინტერესებული პროფესიონალების, მკვლევარებისა და პრაქტიკოსების ფართო აუდიტორიისათვის.
ლექსიკონში შესულია უშუალოდ კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ტერმინები და კონცეფციები, ასევე უფრო ფართო გამოყენების ტერმინები, რომლებიც მნიშვნელოვანი და არსებითია კორპორაციული პასუხისმგებლობის კონტექსტშიც. თითოეულ ტერმინს ახლავს დეტალური განმარტება.
სულ ლექსიკონი შეიცავს 200-ზე მეტ სტატიას.
ლექსიკონი დაურიგდა სამოქალაქო სექტორისა და ბიზნეს კომპანიების წარმომადგენელ 200-ზე მეტ პირს. ლექსიკონი ონლაინ სივრცეშიც უფასოდ გავრცელდა.
ლექსიკონი - https://bit.ly/3ma42aX

საინფორმაციო რესურსები

ვებგვერდი www.csrgeorgia.com

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ჰაბი CSRDG-ის შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც ერთ სივრცეშია თავმოყრილი მრავალმხრივი, სრული, უახლესი ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების და პასუხისმგებელი ბიზნესის შესახებ როგორც გლობალურად, ისე საქართველოში.

ეს ერთადერთი საინფორმაციო ვებპორტალია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და კორპორაციული მდგრადობის შესახებ. ის მრავალფეროვან რესურსებს გთავაზობთ ამ კომპლექსურ თემაში ნავიგაციისათვის.

ვებგვერდის მიზანია ინფორმაციისა და რესურსების გაზიარებით ხელი შეუწყოს ცოდნის გავრცელებას, CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციას ბიზნეს სექტორსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, ასევე მდგრადი განვითარების პრინციპებისა და პასუხისმგებელი ბიზნესის პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოში.
ვებგვერდის საშუალებით:

- გაეცნობით ინფორმაციას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების კონცეფციისა და ისტორიის, პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ფორმების და დადებითი შედეგების, ასევე CSR-ის შემადგენელი ცალკეული თემების შესახებ;
- ნახავთ კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების საკითხების მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებს;
- გაიგებთ, რას აკეთებენ სხვა პროფესიონალები და კომპანიები და შეიტყობთ მათი საქმიანობის საუკეთესო მაგალითების შესახებ;
- გაეცნობით პასუხისმგებელი ბიზნესის და კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკებს და სამთავრობო ქმედებებს გლობალურად და საქართველოში;
- იხილავთ მრავალფეროვან რესურსებს CSR-ის ხელშემწყობი ორგანიზაციების, კონკურსების, თუ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ნავიგაციას შეძლებთ კორპორაციულ პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში;
- გაეცნობით საქართველოში არსებულ ინიციატივებს, ორგანიზაციებსა თუ რესურსებს კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით;
- შეიტყობთ ამ სფეროში არსებულ სიახლეებს როგორც გლობალურად, ისე საქართველოში.

www.csrblog.ge

CSR ბლოგის მიზანია, აამაღლოს ცნობიერება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შესახებ; მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას ამ მიმართლებით მიმდინარე სიახლეებსა და მოვლენებზე და გაუზიაროს ექსპერტების მოსაზრებები და გამოცდილება.
2020 წელს, გარდა საინტერესო სტატიებისა, ბლოგზე გაიმართა კამპანია, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას ქართული ბიზნეს კომპანიების მიერ იმ განხორციელებულ CSR ინიციატივებზე ვუამბობდით, რაც პანდემიის პერიოდში განახორციელეს.
ბლოგზე ასეთი 20-ზე მეტი სტატია დაიწერა და სოციალურ ქსელში გაზიარდა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა

ჩვენი გუნდი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2009 წლიდან დაიწყო. ჩვენი მიზანია სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომლის მისაღწევადაც რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ:

- პარტნიორებთან ერთად სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება;
- სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების მექანიზმების განვითარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- მოქმედი და დამწყები სოციალური საწარმოების ტექნიკური მხარდაჭერა - ტრენინგების, კონსულტაციების, მენტორინგის სახით, ასევე მეწარმეობის შესახებ პუბლიკაციების შეთავაზებით;
- დამწყები სოციალური საწარმოების დაფუძნებისა და მოქმედი საწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სოციალური მეწარმეობის შესახებ.

ამ ხნის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგი გვაქვს, მათ შორის:

- თანამოაზრეებთან ერთად ხელი შევუწყეთ იმას, რომ დღეს ქვეყანაში 100-ზე მეტი სოციალური საწარმო საქმიანობს;
- ხელი შევუწყეთ სოციალურ საწარმოთა ალიანსის დაფუძნებასა და გაძლიერებას;
- დავამკვიდრეთ სფეროში წლის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - სოციალური მეწარმეობის ფორუმი და „წლის სოციალური საწარმოს“ ნომინაცია;
- შევიმუშავეთ ტრენინგები და საკონსულტაციო მომსახურებები როგორც დამწყები, ისე გამოცდილი სოციალური საწარმოებისთვის. ნებისმიერ

დაინტერესებულ პირს ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ექსპერტული მხარდაჭერისა და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისს;
- დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით, ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს მუდმივად ვუწევთ კონსულტაციებს ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე;
- ვაძლიერებთ სოციალურ მეწარმეებსა და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობას და ხელს ვუწყობთ გამოცდილების გაზიარების მექანიზმების შემუშავებას;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დავნერგეთ სოციალური მეწარმეობის პირველი პრაქტიკული კურსი აკადემიური სფეროსთვის;
- გამოვეცით სოციალური მეწარმეობის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო;
- შევქმენით საინფორმაციო-ანალიტიკური ვებგვერდი - www.segeorgia.org, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რასაც ჩვენი გუნდი სფეროს განვითარებისთვის აკეთებს.

ჩვენ ვართ ერთადერთი ქართული ორგანიზაცია, რომელიც 2017 წლიდან European Venture Philanthropy Association- ის ასოცირებული წევრია.

სოციალური მეწარმეობის პროგრამა 2020 წელს

2020 წელს 2 ძირითადი მიმართულებით ვმუშაობდით:

1. ახალი და მოქმედი სოციალური საწარმოების ინიცირება და განვითარება ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. ამ მხრივ, საანგარიშო პერიოდში განვახორციელეთ:

    - სოციალურ საწარმოთა საჭიროებების კვლევა;
    - საგრანტო კონკურსი პანდემიის გამოწვევების დასაძლევად;
    - სოციალური საწარმოების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტები.

2. სოციალური საწარმოებისთვის სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება. ამ მხრივ, საანგარიშო პერიოდში განვახორციელეთ:

    - სოციალურ საწარმოთა ალიანსის შესაძლებლობების გაძლიერებაში მხარდაჭერა;
    - სოციალური მეწარმეობის პრაქტიკული კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
    - გამოცდილების გაზიარება უცხოელი პარტნიორებისთვის

ჩვენი გუნდი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მუდმივად ცდილობს სოციალური მეწარმეობის სიკეთეების შესახებ ინფორმაცია ფართო საზოგადოებას მიაწოდოს. ამ მხრივ აქტიურად ვიყენებთ CSRDG-სა და სოციალურ საწარმოთა ალიანსის სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდებს. აქტიურია სპეციალურად სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციისთვის შექმნილი ვებგვერდი - segeorgia.org, რომელიც საანგარიშო პერიოდში განახლდა და კიდევ უფრო მეტად შეითავსა სასწავლო ვებგვერდის ფუნქციები.

ახალი და მოქმედი სოციალური საწარმოების ინიცირება და განვითარება

სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისთვის, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ახალი და მოქმედი სოციალური საწარმოების ინიცირება და განვითარების ხელშეწყობაა. ამ მიმართულებით, სოციალურ მეწარმეებთან ერთად ვაანალიზებთ არსებულ გამოწვევებს, ვცდილობთ მათ საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობების შექმნას და ვთავაზობთ ფინანსებსა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობას გაძლიერებისთვის. ამ მიზნით, 2020 წელი, პანდემიით გამოწვეული საჭიროებების კვლევასა და მათზე მორგებული დახმარების პაკეტის შექმნას დავუთმეთ.

სოციალურ საწარმოთა საჭიროებების კვლევა

2020 წელი რთული აღმოჩნდა როგორც ტრადიციული ბიზნესებისთვის, ისე სოციალური საწარმოებისთვის. Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული საჭიროებების გამოსავლენად, ჩავატარეთ მცირემასშტაბიანი კვლევა საწარმოებისთვის მხარდაჭერის შესაძლო გზების მოსაძებნად. გამოკითხვაში სულ 38 საწარმო მონაწილეობდა.

გამოიკვეთა შემდეგი სახის მიგნებები:

- სოციალურ მეწარმეებს ჰქონდათ იგივე სახის გამოწვევები, როგორც სხვა მცირე და საშუალო ბიზნესებს, თუმცა ისინი დამატებით სპეციფიკური სახის სირთულეებსაც გადააწყდნენ. მაგალითად, საწარმოთა უმრავლესობამ შეწყვიტა ან მკვეთრად შეამცირა საქმიანობა. მხოლოდ ერთმა საწარმომ გაზარდა გაყიდვები, რომელიც ადაპტირდა საქმიანობიდან გამომდინარე ახალ რეალობასთან და დაიწყო ნიღბების ან სხვა საჭირო პროდუქტების კერვა. სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელმა საწარმოებმა სრულად შეწყვიტეს საქმიანობა (კაფეები, კემპინგი...). სოციალური სერვისების მიმწოდებელმა საწარმოებმა გააგრძელეს მუშაობა, თუმცა დისტანციურ სერვისებზე გადაწყობის მხრივ სირთულეებს გადააწყდნენ.

- მთავარი გამოწვევები უკავშირდებოდა ფინანსების ნაკლებობას ხელფასების, საჭირო ხარჯებისა და ქირის გადასახდელად, მასალებთან წვდომის შემცირებას, პანდემიის პრევენციის მიზნით ჰიგიენური და სადეზინფექციო მასალების გაძვირებას, ტრანსპორტის შეზღუდვას, ონლაინ გაყიდვების დაწყების სირთულეებს, ინტერნეტთან წვდომისა და თანამშრომელთა უნარების პრობლემებს და სხვ.

გამოიკვეთა შემდეგი სახის საჭიროებები:

- კონსულტაციები კრიზის მენეჯმენტის გეგმისა და პოსტ-კრიზისული სტრატეგიის შესამუშავებლად;
- კონსულტაციები ახალ რეალობასთან ადაპტირებისა და საქმიანობის გაგრძელების მომხმარებელზე მორგებული საჭიროებების შესაბამისად;
- ონლაინ გაყიდვების ტრენინგების აუცილებლობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- მცირე გრანტები ფინანსური გამოწვევების გადალახვისთვის;
- ისეთი მექანიზმების განვითარება, რომელიც დაეხმარებათ საწარმოებს კოორდინირებულ მოქმედებაში, გამოცდილების გაზიარებასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში.

საგრანტო კონკურსი პანდემიის გამოწვევების დასაძლევად

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვაცხადეთ საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო, დახმარებოდა სოციალურ საწარმოებს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე წარმოქმნილი პრობლემების ეფექტურად დაძლევაში და ახალი და ინოვაციური მიდგომების განვითარებაში.

კონკურსის პირობების დეტალურად გასაცნობად, დაინტერესებული პირებისთვის გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრაც. 10 აპლიკანტიდან, დაფინანსდა 3 სოციალური საწარმო:

- ბაბალე
- ბებიას
- თემი

დახურული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 3 პროექტის ბიუჯეტი სრულად **55,275 ლარს** შეადგენდა, მათ შორის ცენტრის დაფინანსება - **39,425 ლარია**, ხოლო საწარმოთა თანამონაწილეობა **15,850 ლარი.**

ბაბალე

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემოქმედებითი სახელოსნოა, რომელიც ხის, ტექსტილისა და კერამიკის ნივთებსა და სხვადასხვა აქსესუარს აწარმოებს და ის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ასაქმებს. პროექტის ფარგლებში ბაბალე გეგმავს „ბაბალეს წინდების“, როგორც ბრენდის გატანას საერთაშორისო ონლაინ ბაზარზე, კერძოდ ბრიტანულ ამაზონზე. საერთაშორისო ბაზარზე გასვლა მოითხოვს გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებას, რისთვისაც, მომზადდება ახალი შეფუთვები, არსებულ დიზაინებს კი დაემატება ხუთი ახალი წინდა. ბრიტანულ ამაზონზე პროდუქციის განთავსებასა და გაყიდვებს კი ბაბალე ბრიტანული პარტნიორი კომპანიის დახმარებით განახორციელებს.

ბებიას

„ბებიას“ -ახალი ქართული ბრენდია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ბებიების ხელით მოქსოვილ ქუდებს. პროექტის ფარგლებში სოციალურმა საწარმომ მიზნად დაისახა გაზარდოს დასაქმებულ ბებიათა რაოდენობა, დახვეწოს მოქსოვილი ქუდების ხარისხი, გაამრავალფეროვნოს პროდუქტის დიზაინი, გამართოს ონლაინ გაყიდვების სისტემა და სცადოს საერთაშორისო ბაზარზე გასვლა.

თემი

სოციალური საწარმო ქმნის საცხოვრებელ სივრცეს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის. თემის შემოსავლის დიდი ნაწილი „ბიო ღვინის“ წარმოებიდან და რეალიზებიდან მიღებული თანხაა. პროექტის ფარგლებში სოციალური საწარმო გეგმავს პროდუქციის რებრენდინგსა და ონლაინ გაყიდვების სისტემის აწყობას, გაყიდვების გაზრდას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

სოციალური საწარმოების ტექნიკური მხარდაჭერა

სოციალური საწარმოების ტექნიკური მხარდაჭერა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენ ამ მომსახურებას ვუწევთ ყველა სოციალურ საწარმოს, რომლებიც ჩვენი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები არიან, ასევე განვითარებით დაინტერესებულ სხვა სოციალურ საწარმოებს.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში სოციალურ საწარმოებს ვთავაზობთ საჭიროებებზე მორგებულ საკონსულტაციო მომსახურებასა და ტრენინგებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მარკეტინგი და ბრენდინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საწარმოს გაფართოების გეგმის შემუშავება (ბიზნეს გეგმა), სოციალური გავლენის დაგეგმვა და მართვა, პროდუქციის განვითარება, კრიზისების მართვის სტრატეგიის შემუშავება, იურიდიული საკითხები სოციალური საწარმოებისთვის. სოციალური საწარმოებისთვის ასევე ხელმისაწვდომია CSR პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული პრო ბონო სერვისები.

მიმდინარე წელს, სოციალურ საწარმოებს მივაწოდეთ სხვადასხვა სახის ტრენინგები და კონსულტაციები, მათ შორის:

- ✓ **საკონსულტაციო მხარდაჭერა სოციალური საწარმოსთვის „Crayfish farm” -** სოციალური საწარმო თეთრიწყაროს სოფელ მარაბდაში, კიბორჩხალების პირველი ფერმაა საქართველოში. საწარმოს სოციალური მისიაა სამუშაო ადგილების შექმნა, ფინანსური შესაძლებლობების მიცემა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ჩვენმა გუნდმა საწარმოს გაუწია საკონსულტაციო მომსახურება ბრენდირებისა და კომუნიკაციის სტრატეგიის მიმართულებით.

- ✓ **სემინარი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის შესახებ -** საქართველოს შრომის, უსაფრთხოების ჯანმრთელობისა და გარემოს

დაცვის ასოციაციასთან OSHE თანამშრომლობით, სოციალური მეწარმეებისთვის ჩავატარეთ სემინარი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის შესახებ. შრომის უსაფრთხოების ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს ის ძირითადი მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელიც კანონმა 2019 წლიდან ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისთვის დააწესა.

სოციალური საწარმოებისთვის სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

პროგრამის ფარგლებში პარტნიორებთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარებაზე. ამ მიმართულებით, ჩართულები ვართ საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების პროცესში, სოციალური საწარმოების გამაერთიანებელი ორგანიზაციის „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ ინსტიტუციურ გაძლიერებაში, ასევე ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

სოციალურ საწარმოთა ალიანსის შესაძლებლობების გაძლიერებაში მხარდაჭერა

სოციალურ მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარებისათვის და ქვეყანაში მყარი ინსტიტუციების შექმნის მიზნით, 2016 წელს 6 სოციალურ საწარმოსთან ერთად დავაფუძნეთ „სოციალური მეწარმეობის ალიანსი“, რომელიც წარმოადგენს სოციალურ საწარმოთა ერთიან პლატფორმას და ხელს უწყობს წევრების საერთო ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში სექტორის ცნობადობის ზრდას, გამოცდილების გაზიარებისა და სექტორებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების განვითარებას. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ალიანსის გაძლიერებას და მისი საქმიანობების წარმატებით განხორციელებას.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებმა ხელი შეუშალა სხვადასხვა სახის გამოფენების და ღია ღონისძიებების მოწყობას, თუმცა ალიანსის ორგანიზებით CSRDG-სთან თანამშრომლობით სოციალურ საწარმოთა ფორუმი ჰიბრიდულ რეჟიმში 2020 წლის 19 ნოემბერს, სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო დღეს, ჩატარდა. ალიანსს ფორუმისთვის რესურსების მობილიზების კუთხით საკონსულტაციო მომსახურებით დავეხმარეთ. შედეგად ალიანსმა **8 სხვადასხვა წყაროდან 40,000 ლარის მობილიზება შეძლო.**

სოციალურ საწარმოთა ფორუმი სფეროში ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას წარმოადგენს. ფორუმის მიზანი სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია და ხელშემწყობი ეკოსისტემის ჩამოყალიბებაა. ფორუმს 2012 წლიდან CSRDG ატარებდა, 2018 წლიდან კი ალიანსის ეგიდით ხორციელდება. ჩვენი გუნდი ფორუმის მუდმივ მხარდამჭერად და თანაორგანიზატორად დღემდე რჩება.

მიუხედავად პანდემიის თანმდევი გამოწვევებისა, მისდამი ინტერესი და ჩართულობა მაღალი იყო. ფორუმს წელს 120 სტუმარი დაესწრო. ღონისძიება

გაშუქდა ონლაინ გამოცემების, სატელევიზიო გადაცემებისა და რადიოს საშუალებებით ამასთანავე, Facebook Live-ით, რომლის მაყურებელთა რაოდენობამ 2,000-ს გადააჭარბა. "წლის სოციალური საწარმო 2020" წალკის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური საწარმო **"გუმბათი"** გახდა**,** რომელსაც ნომინაციის უნიკალური მხარდამჭერისგან - საქართველოს ბანკისგან, გადაეცა 4,000-ლარიანი გრანტი საწარმოს განვითარებისთვის.

სოციალური მეწარმეობის პრაქტიკული კურსი

ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით, წელსაც გავაგრძელეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. 2019 წელს დანერგილ სოციალური მეწარმეობის პირველ პრაქტიკულ კურს 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრში 80 სტუდენტი გაივლის. კურსის ფარგლებში, სტუდენტებმა 19 სოციალურად მნიშვნელოვანი ბიზნეს გადაწყვეტის პროექტები უკვე მოამზადეს, რომლებიც ეხებოდა ეკომეგობრულ საქმიანობას, შშმ პირების რესოციალიზაციას, კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ რეინტეგრაციას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სხვ.

გამოცდილების გაზიარება უცხოელი პარტნიორებისთვის

საქართველოს გამოცდილება სოციალური მეწარმეობის განვითარებაში სულ უფრო საინტერესო ხდება რეგიონში მეზობელი ქვეყნებისთვის. საანგარიშო პერიოდში, ვუმასპინძლეთ აზერბაიჯანის ორგანიზაცია „Education Hub“-ის მიერ ორგანიზებულ ქალთა ჯგუფს, რომელიც დაინტერესებული იყო სოციალური მეწარმეობის კონცეფციით და საქართველოში არსებული სოცსაწარმოების გამოცდილებით. შეხვედრაზე აზერბაიჯანის 20 ქალისაგან შემდგარ დელაგაციას გამოცდილება გაუზიარა 6-მა ქართულმა სოციალური საწარმოს წარმომადგენელმა.

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობა 2009 წლიდან დავიწყეთ და რამდენიმე წელიწადში ამ მიმართულებით ერთ-ერთ წამყვან საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოვყალიბდით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ჩვენი მიზანია, ქვეყანაში სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე.

მომხმარებლის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება

თავდაპირველად ბაზრის მონიტორინგი სურსათის შემოწმებით დავიწყეთ და დღეისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა სამომხმარებლო პროდუქციის მონიტორინგსაც ვახდენთ. 2011 წლიდან, CSRDG-ს ბაზაზე, მოქმედებს ინტერაქციული ვებპორტალი **www.momxmarebeli.ge** და ამავე დასახელების

ფეისბუქის გვერდი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას როგორც მომხმარებლის უფლებების, ისე დარღვევის ფაქტების შესახებ და ასევე თავად განათავსონ აღნიშნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში პირადი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია.

მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე, ან ჩვენივე ინიციატივით, სავაჭრო ქსელიდან ვიღებთ საეჭვო ხარისხის სურსათის ნიმუშებს, ლაბორატორიულად ვამოწმებთ, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაციას ვაქვეყნებთ ვებპორტალსა და ფეისბუქის გვერდზე, რეაგირებისთვის მივმართავთ სურსათის ეროვნულ სააგენტოსა (სეს) და იმ მეწარმეებს, რომელთა პროდუქციაში დარღვევები აღმოვაჩინეთ.

მომხმარებლისთვის CSRDG-მ 145 მომხმარებელს გაუწია კონსულტაცია (მათი მოთხოვნით) იურიდიულ და სხვადასხვა არასამართლებრივ საკითხებზე.

CSRDG-მ ჩაატარა შემდეგი 303 პროდუქტის ლაბორატორიული კვლევა:

- 77 სურსათის ნიმუში, საიდანაც არასასურსათო სუდანის ჯგუფის, ჯანმრთელობისთვის საშიში საღებავი 8 პროდუქტში აღმოჩნდა.

  40 დასახელების საყოფაცხოვრებო ჰიგიენის საშუალება შემოწმდა ფორმალდეჰიდის, ბორისა და ტყვიის შემცველობაზე. შემოწმების შედეგად 15 ნიმუში ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი აღმოჩნდა.
- კოსმეტიკური პროდუქციის 82 ნიმუში პარაბენების, ტყვიისა და დარიშხნის შემცველობაზე, საიდანაც 7 პროდუქტი ჯანმრთელობისთვის რისკს შეიცავდა, ხოლო 14 პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავდა.

- სამკაულების 24 ნიმუში, საიდანაც კადმიუმისა და ტყვიის გადამეტებული ოდენობა 7 ნიმუშში აღმოჩნდა. რამდენიმე ნიმუშში ეს პარამეტრები ასობით და ათასობით აჭარბებდა ევროკავშირის მიერ დაშვებულ ნორმებს.

- რძის ნაწარმის 80 ნიმუში მცენარეული ცხიმის შემცველობაზე, საიდანაც 13-ში დარღვევა აღმოჩნდა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად („რძისა და რძის ნაწარმის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი), პროდუქტი, რომელშიც რძის ცხიმი ჩანაცვლებულია მცენარეული ცხიმით, ან სხვა ინგრედიენტებით, არ წარმოადგენს რძის პროდუქტს და მასზე რძის პროდუქტის დასახელების (კარაქი, არაჟანი, მაწონი და სხვ.) მითითება აკრძალულია.

რეაგირება:

CSRDG-ის მიერ 2019-2020 წლებში სურსათში აკრძალული საღებავების კვლევის შედეგად, რისი კონტროლიც მანამდე არ ხორციელდებოდა, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) შემდეგი რეაგირება მოახდინა:

- ბაზრიდან ამოიღო მავნე პროდუქტების რვავე პარტია;

- 2019 წელს მიიღო სპეციალური ბრძანება, რომლის მიხედვითაც განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილი დაფქული წითელი წიწაკის თითოეულ პარტიას თან უნდა ახლდეს ლაბორატორიული კვლევის ოქმი, რომლის მიხედვითაც პროდუქტი არ შეიცავს „სუდანის“ ჯგუფის აკრძალულ საღებავებს. ამ ბრძანების შესრულებას საბაჟო სამსახური აკონტროლებს.

- გაიზარდა სურსათის შემოწმება „სუდანის“ ჯგუფის საღებავებზე: 2019 წელს სეს-მა შეამოწმა 10 ნიმუში, 2020 წელს - 34, ხოლო 2021 წელს ოფიციალურად დაგეგმილია 33 ნიმუშის შემოწმება.

- გარდა ამისა, ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობა საქართველოში ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესება. ერთ-ერთმა მთავარმა საჯარო ლაბორატორიამ – სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ – დანერგა და მიიღო ოფიციალური აკრედიტაცია „სუდანის“ ჯგუფის საღებავების შესამოწმებლად, რაც აქამდე საქართველოში არ ხორციელდებოდა. ეს გააადვილებს და გააიაფებს ამ რისკის კონტროლს საქართველოში.

საინფორმაციო შეხვედრები და საჯარო დისკუსიები

2020 წლის განმავლობაში პროგრამამ თბილისში მოაწყო 2 მრგვალი მაგიდა სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის უვნებლობის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ სამთავრობო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, საექსპორტო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები (სულ 90 ადამიანი).

საქართველოს 10 ქალაქში - ახალციხე, ბათუმი, გორი, ხარაგაული, ქუთაისი, ლაგოდეხი, ოზურგეთი, რუსთავი, თელავი, ზუგდიდი - მოეწყო საჯარო შეხვედრები საქართველოში პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ვითარებასთან დაკავშირებით, სადაც წარმოდგენილი იყო CSRDG-ის მიერ ორგანიზებული არასასურსთო პროდუქციის კვლევის შედეგები. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებული პირების ფართო სპექტრმა სხვადასხვა სექტორიდან: საჯარო დაწესებულებები, სსო, ბიზნესი, მედია და სხვ., სულ 221-მა ადამიანმა.

2020 წლის განმავლობაში პროგრამამ მოამზადა და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა 12 საინფორმაციო-საგანმანათლებლო სტატია.

მომზადდა ორი სოციალური კლიპი:

1. ანიმაცია სურსათის უვნებლობის შესახებ;
2. ანიმაცია სურსათის უვნებლობის შესახებ

ღია მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაციაში ორი პროგრამის ფარგლებში ვმუშაობთ, ესენია - კარგი მმართველობის და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამები.

კარგი მმართველობა - ადგილობრივი თვითმართველობების მიერ გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.
ევროინტეგრაციის ხელშეწყობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატორების კუთხით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობა

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფების მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და სამოქალაქო კულტურის ფორმირება.

1998 წლიდან აქტიურად მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხებზე ვმუშაობთ. მრავალწლიანმა საქმიანობამ, არაერთმა განხორციელებულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

პროგრამის ძირითადი საქმიანობა 2020 წელს.

ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პრაქტიკული ხასიათის კვლევები და დიაგნოსტიკური ანგარიშები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულების ფისკალური გამჭვირვალობისა და პროგრამულად ხარჯების აღწერა/აღრიცხვიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების

დანერგვა/იმპლემენტაცია, მუნიციპალური ქონების ფორმირებისა და განკარგვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობების დამკვიდრება, დემოკრატიული მმართველობის ინოვაციური სისტემების შემოღება, ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევებისა და რეკომენდაციების საშუალებით ვეხმარებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს პრობლემების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სამუშაო შეხვედრები

თვითმმართველობებთან მუშაობისას ჩვენი მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მონიტორინგისა და კონსულტაციის პროცესის ერთობლიობაა. მონიტორინგის მეშვეობით იდენტიფიცირებული ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობის ძირითადი ხარვეზები და პრობლემები, მათი გასაჯაროება, ხელს უწყობს მათი მხრიდან არსებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებასა და რეაგირებას. არსებული რეკომენდაციების მიწოდება, ტექნიკური დახმარება, რომელიც მოიაზრებს კონსულტაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიურ მუშაობას, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

2020 წელს პროგრამის ძირითადი საქმიანობა გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ჩარჩოების მონიტორინგის, მოქალაქეთა მონაწილოების ფორმების დანერგვისა და ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგისკენ იყო მიმართული.

მონაცემთა შეგროვების პროცესი მოიცავს, ერთის მხრივ, სამიზნე ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჯარო ინფორმაციის მოპოვებას და, მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

ანალიზი ჩატარდა წინა წლების ბიუჯეტის მონიტორინგის ქსელის მიერ შემუშავებულ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს გამჭვირვალობის პროცედურებსა და მოქმედი კანონმდებლობის ვადებს.

პროგრამა კვლავ ფოკუსირებულია წინა პროგრამისთვის შემუშავებულ შემდეგ რვა კრიტერიუმზე:

- მუნიციპალიტეტში საჯარო მრჩეველთა საბჭოს არსებობა;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა;

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გასვლითი სხდომების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს კომიტეტების სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება;
- მუნიციპალიტეტის ვებ-პორტალზე მოწოდებული ინფორმაციის სარგებლიანობა;
- სამოქმედო გეგმის დამტკიცემაბდე საზოგადოების წინასწარი ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

პროგრამის ექსპერტებმა სამიზნე რეგიონების თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტების ორგანოებიდან 20-ჯერ გამოითხოვეს შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. გამოთხოვილი მასალები ძირითადად შეეხებოდა: 2020 წლის პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომებისა და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ოქმებს; ადმინისტრაციული წარმოების მასალებს; ინფორმაციას მოქალაქეებთან და ამომრჩევლებთან საკრებულოს წევრების შეხვედრების შესახებ, რომელიც გაიმართა 2020 წლის განმავლობაში; ინფორმაციას საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ „საკრებულოს წევრის ფუნქციონირების ხარჯები“ ბიუჯეტის ხაზით იმავე პერიოდში და ა.შ. გარდა ამისა, პერიოდულად მოწმდებოდა საკრებულოს ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში იქნა გაანალიზებული. არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით ექსპერტების მიერ 2020 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შემუშავებული იყო 31 რეკომენდაცია ჯამურად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის.

აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა/გაფართოება;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებების შესრულება;
- ხელისუფლების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერებისა ამაღლების სტრატეგიისა და თანმდევი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების გარანტიების შექმნა და განხორციელება;

- მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

პროგრამის ექსპერტები ასევე მუშაობდნენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით, გამოვლენილი საჭიროებების (პრობლემების) მოგვარების ხელშეწყობის თაობაზე. სარეკომენდაციო წერილი მომზადებული იქნა 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში - „მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში ჩატარებული მოსახლეობის აზრის კვლევისა და შეფასების ანგარიშების და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმით“ ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე. კერძოდ:

- მუნიციპალური ნარჩენების გატანის (დასუფთავების) სერვისის გეოგრაფიული არეალის გაფართოვება ადმინისტრაციული ერთეულების შემადგენლობაში შემავალი ყველა დასახლებისთვის;
- მუნიციპალური ნარჩენების გატანის (დასუფთავების) სერვისის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ამ ადმინისტრაციული ერთეულებისთვის გამოყოფილი ნაგვის კონტეინერების რაოდენობის ზრდა;
- ადეკვატური რაოდენობის ნაგვის კონტეინერების განთავსება;
- ნაგვის კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის გაუმჯობესება;
- ადმინისტრაციული ერთეულების დასახლებებში ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) სრული ინვენტარიზაცია (ადგილმდებარეობის, მოცულობის, შემადგენლობის იდენტიფიცირება) და ამ ადგილების დასუფთავებისა და ტერიტორიის აღდგენის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და კომპონენტებზე ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით;

პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან 3 რეკომენდაცია მუნიციპალიტეტების მიერ იქნა გათვალისწინებული.

2020 წლის განმავლობაში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების ეფექტიან გზებთან დაკავშირებით კონსულტაციისა და საექსპერტო დახმარების გაწევის მიზნით ჩატარდა 20 სხვადასხვა ონლაინ შეხვედრა სამიზნე რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგნელებთან.

ადგილობრივი ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობის მიზნით (პანდემიის ჭრილში) ექსპერტების მიერ მომზადდა და გამოიცა სტატია „თვითმმართველობის რეფორმების შედეგების ანალიზი“.

რეკომენდაციები:

კვლევის დოკუმენტზე დაყრდნობით ორგანიზაციის ექსპერტებმა შეიმუშავეს 5 რეკომენდაცია, არსებულ დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ, რომელიც სამიზნე რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს გადასცეს:

- თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცება;
- თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგის მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესება;
- 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პროცედურების პროექტი;
- თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და პარკირების ღირებულების მარეგულირებელ პროცედურებში ცვლილებების შეტანა.
- 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შემუშავდა რეკომენდაციების ცალკე პაკეტი პანდემიასთან ბიუჯეტში განსახორციელებელი სპეციფიური ცვლილებების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებმა განიხილეს პროგრამის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი 2 რეკომენდაცია.

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა 2015 წლიდან დავიწყეთ. თავდაპირველად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროს რამდენიმე მიმართულებაზე ვიყავით ორიენტირებული (ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, პროდუქციის უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა დაცვა), თუმცა 2017 წლიდან პროგრამამ ამ შეთანხმებების პრაქტიკულად ყველა მიმართულება მოიცვა.

პროგრამის საქმიანობის მიზანია, ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრირების ხელშეწყობა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულება კი ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ჩვენ ვახორციელებთ და მხარს ვუჭერთ ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების ახსნას და პოპულარიზაციას, მათი დროული და სრულფასოვანი შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებას.

პროგრამის საქმიანობის ფარგლებში ვატარებთ ტრენინგებსა და კონკურსებს მედიისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, უფროსკლასელთათვის. ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგში არასამთავრობო

სექტორის მეტად ჩართულობის წახალისების მიზნით გავცემთ გრანტებს და ჩამოვაყალიბეთ აქტიურ ორგანიზაციათა ეფექტური თანამშრომლობის ქსელი.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შევქმენით საგანმანათლებლო ვებგვერდი - www.asocireba.ge - მასზე განთავსებულია და ყველასათვის ხელმისწავდომია: 1. შემეცნებითი ვიდეო გაკვეთილები, რომელიც საშუალებას იძლევა მოკლე დროში შეგექმნათ წარმოდგენა, რა არის ევროპა და რა ღირებულებების მატარებელია, რას ნიშნავს ასოცირების ხელშეკრულება, რა ვალდებულებებს ითვალისწინებს იგი და როგორია მათი შესრულების მდგომარეობა; 2. სახალისო ქვიზები, რომლის საშუალებითად შეგიძლიათ გადაამოწმოთ თქვენი ცოდნა ევროპისა და ევროასოცირების ხელშეკრულების ცალკეული თემების შესახებ; 3. ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მიერ შექმნილი პუბლიკაციები, რომელიც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის შედეგებს შეეხება; 4. სხვადასხვა სფეროში ევროასოცირების ხელშეკრულების შესრულების გრაფიკული სქემა (იხ. www.asocireba/timeline), რომელსაც თან ახლავს შეფასების დეტალური მეთოდოლოგია, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ჩამონათვალი, აგრეთვე ბმულები ხელმისაწვდომი პუბლიკაციებსა თუ კვლევებზე.

აგრეთვე, ვაწყობთ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო კამპანიებს, რომელის მიზნობრივი აუდიტორიაა სკოლები, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. კამპანიის ფარგლებში, მოვამზადეთ ეკონომიკის დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისთვის, სახელმძღვანელო უკვე გამოიყენა 1,000-ზე მეტმა მოსწავლემ.

პროგრამის ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული აქტივობები

ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების ციკლი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების თაობაზე.
3 დღიანი ტრენინგების პირველი სერია, 23-25 ივნისს, ონლაინ ფორმატში გაიმართა; ხოლო მეორე და მესამე სერია ქალაქ ბორჯომში 27-30 ივლისს ჩატარდა. ტრენინგების მსვლელობის დროს თეორიულ მასალასთან ერთად მონაწილეები განიხილავდნენ ასოცირების შეთანხმების ამა თუ იმ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგისა და ადვოკატირების პრაქტიკულ მაგალითებსა და სავარჯიშოებს.

<u>ტრენინგებზე განხილული საკითხები:</u>
NGO-ს როლი საზოგადოებაში; ჯანდაცვის რეფორმა - არსებული მდგომარეობა, ვალდებულებები და მათი შესრულების მდგომარეობა; მომხმარებელთა უფლებები; საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში; დემოკრატიული არჩევნები; სურსათის უვნებლობა (SPS) ასოცირების შეთანხმების მიხედვით;

გარემოსდაცვითი პოლიტიკა ასოცირების შეთანხმების მიხედვით: ნარჩენების მართვა და სხვ.

ანიმაციური ვიდეო გაკვეთილები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ

2020 წელს პროგრამის ფარგლებში მომზადდა 16 ვიდეო სხვადასხვა თემაზე. მოკლე ანიმაციური ვიდეო გაკვეთილები საშუალებას იძლევა, მოკლე დროში შეგექმნათ წარმოდგენა, რა არის ევროპა და რა ღირებულებების მატარებელია, რას ნიშნავს ასოცირების ხელშეკრულება, რა ვალდებულებებს ითვალისწინებს იგი და როგორია მათი შესრულების მდგომარეობა. ვიდეო გაკვეთილები განთავსებულია ვებპორტალზე www.asocireba.ge, ასევე გაზიარდა CSRDG-ის სხვადასხვა სოციალურ მედია გვერდებზე.

2020 წელს მომზადებული ვიდეო გაკვეთილები:

- **რეგიონული განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირში https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=134**
- **სოფლის განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირში https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=104**
- **მოთხოვნები ევროკავშირის წევრობისთვის https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=73**
- **ასოცირების შეთანხმების ზოგადი მიმოხილვა https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=4**
- **ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცედურები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=30**
- **ადამიანის უფლებების მოკლე ისტორია https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=117**
- **ადამიანის თავისუფლებები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=108**
- **ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=126**
- **ადამიანის საპროცესო უფლებები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=120**

- **ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=121**

- **მართლმსაჯულების პრინციპები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=62**

- **კანონიერი თუ სამართლიანი https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=75**

- **ბავშვი და მართლმსაჯულება https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=98**

- **DCFTA ზოგადი მიმოხილვა https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=31**

- **DCFFTA საბაჟო საკითხები https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=31**

- **გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ https://www.asocireba.ge/learn/?s=read_more&id=46**

მომზადებული პუბლიკაციები

2020 წელს პროგრამის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების მიერ, ასევე გაცემული გრანტების ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა პუბლიკაციები, რომელიც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების მონიტორინგის შედეგებს შეეხება.

პროგრამის ფარგლებში ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პუბლიკაციები:

1. საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეფასების მოდელი

შოთა მურღულია
https://www.asocireba.ge/files/Murgulia-EUGAA-Monitoring-CSO-Methodology-2020.pdf

2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად ქართული მხარის მიერ საბანკო სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ანალიზი

ალექსანდრე რაიბული, დავით სიხარულიძე
https://www.asocireba.ge/files/Raibuli-Sikharulidze-Banks-2020.pdf

3. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად ქართული მხარის მიერ ფინანსური მომსახურების სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ანალიზი

ალექსანდრე რაიბული, დავით სიხარულიძე
https://www.asocireba.ge/files/Raibuli-Sikharulidze-Financial-Services-2020.pdf

4. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ 2014-2018 წლებში ენერგეტიკის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ანალიზი

მურთაზ კვირკვაია, ნიკოლოზ სუმბაძე
https://www.asocireba.ge/files/Kvirkvaia-Sumbadze-Energetika-2020.pdf

პროგრამის ფარგლებში გრანტიორი ორგანიზაციების მიერ მომზადებული პუბლიკაციები:

1. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით (2014-2021) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით

ორგანიზაციები: ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი, და რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი
https://www.asocireba.ge/files/KET_RLQSSRC_SME_Regional_Strategy_Monitoring.pdf

2. საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, მასთან დაკავშირებული შრომისა და სატრანსპორტო უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგები ქუთაისში

ორგანიზაცია: ევროპა ჩვენი სახლია
https://www.asocireba.ge/files/EOH_Road_Monitoring_Kutaisi.pdf

3. შიდა ქართლის 2014-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის 2016-2017 წლების მონიტორინგი

ორგანიზაციები: ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება, და მწვანე კავკასია
https://www.asocireba.ge/files/YRAU_GC_Shida_Kartli_Regional_Strategy_Monitoring_titlepage_c.pdf

4. შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში

ორგანიზაციები: რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“, და ასოციაცია „ქალები რეგიონების განვითარებისთვის“
https://www.asocireba.ge/files/CRI_WRD_Labour_Safety_Monitoring_2020.pdf

5. 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი იმერეთის რეგიონში

ორგანიზაციები: საქართველოს დემოკრატიის სახლი, და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი
https://www.asocireba.ge/files/GDH_TRDF_Village_Support_Programme_monitoring_2020.pdf

6. მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა მცხეთის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ
ორგანიზაციები: ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის, და ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი
https://www.asocireba.ge/files/Kartlosi-waste-management-Gori-Municipality-2019.pdf

7. სუფთა და ჯანსაღი გარემო კასპის მუნიციპალიტეტში
ორგანიზაციები: ქართლოსი, და საქართველოს მედია ჯგუფი
https://www.asocireba.ge/files/Qartlosi_GMG_Waste_Managmant_Kaspi.pdf

8. ენერგოაუდიტორები - ენერგოეფეწტურობის მონიტორინგისთვის
ორგანიზაცია: საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი
https://www.asocireba.ge/files/Akhaltsikhe_Energo_Audit_2020.pdf

9. მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მონიტორინგი და ფერმერთა ინფორმირებულობა ბიო-სასუქის რესურსის გამოყენებაზე
ორგანიზაციები: ქალები რეგიონების განვითარებისათვის, და რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავალი“
https://www.asocireba.ge/files/WRD_BF_Imereti_4_Municipal_Waste_Management_Monitoring_2020.pdf

10. სუფთა რეგიონი - გზა ევროპისკენ
ორგანიზაცია: სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი
https://www.asocireba.ge/files/SJMC_Municipal_Waste_Management_Monitoring_2020.pdf

11. კულტურის სფეროს გამოწვევები ახმეტის მუნიციპალიტეტში
ორგანიზაცია: თუშური ბრენდი
https://www.asocireba.ge/files/Tushetian_Brand_Culture_Research_2020.pdf

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში
ორგანიზაცია: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
https://www.asocireba.ge/files/DDUG_Baileti_Waste_Assessment.pdf

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

ორგანიზაცია: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
https://www.asocireba.ge/files/DDUG_Jumati_Waste_Assessment.pdf

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

ორგანიზაცია: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
https://www.asocireba.ge/files/DDUG_Meria_Waste_Assessment.pdf

15. ეფექტიანი, ქმედითი და პროფესიონალური საჯარო სამსახური და მოხელე
ორგანიზაცია: ნაბიჯი ხარაგაული
https://www.asocireba.ge/files/Step_Kharagauli_Public_Service_Reform.pdf

16. ქვიშა-ხრეშის მოპოვების პრაქტიკა გურიის რეგიონში: მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები

ორგანიზაციები: გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკო“, და გურიის სამოქალაქო ცენტრი
http://www.asocireba.ge/files/GCC_EKO_Guria_Rivers_Gravel_Extraction_Monitoring_2020.pdf

17. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების
მონიტორინგის ანგარიში

ორგანიზაციები: სტეფანწმიდა, და მწვანე კავკასია
https://www.asocireba.ge/files/Mtskheta_Mtianeti_Regional_Strategy_Monitoring_2020.pdf

18. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და რეგიონული განვითარების საკითხების მონიტორინგი და ადვოკატირება

ორგანიზაციები: თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია იმერეთი, და ევროპა ჩვენი სახლია
https://www.asocireba.ge/files/Association_Imereti_Monitoring_Report.pdf

19. სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ატმოსფერული ჰაერის ხარისხისგაუმჯობესება ჭიათურის მუნიციპალიტეტში

ორგანიზაციები: ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“ და იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია "ასა"
https://www.asocireba.ge/files/Chiatura_Air_Monitoring_Report.pdf

კონტაქტი:

თბილისის ოფისი	თელავის ოფისი
მისამართი: თბილისი 0177, ჯებაშვილის I გასასვლელი N.5 (ყოფილი დელისის I შესახვევი, 5ა) ტელეფონი: (995 32) 2 39 90 19	მისამართი: გიორგი არსენიშვილის ქუჩა 2, თელავი, საქართველო ტელეფონი: (995 32) 2 180 177
E-mail: office@csrdg.ge Web page: www.csrdg.ge	